

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის
71-ე
სამეცნიერო სესია**

ექლვნება პროფ. ბესარიონ ჯორბენაძის
დაბადების 70 წლისთავს

თბილისი
2012

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

71-ე სამეცნიერო სესია

ედღვნება პროფ. ბესარიონ ჯორბენადის
დაბადების 70 წლისთავს

მ ა ს ა ლ ე ბ ი

2012 წლის 25-27 დეკემბერი

თბილისი
2012

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს — 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს — 3 წუთი

რედაქტორები — **ავთანდილ არაბული**
თამარ ვაშაკიძე

©არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მუშაობის გეგმა

25 დეკემბერი, 11 საათი

გ. გოგოლაშვილი — ქართული მორფოლოგიის საკითხები პროფ. ბ. ჯორბენაძის მეცნიერულ მემკვიდრეობაში

ვ. შენგელია — მოსაზრება ქართული ქალ-ი სიტყვის ქართველური შესატყვისის შესახებ

მ. ჩუხუა — ფარინგალიზებულ ხმოვანთა წარმომავლობის ერთი წყაროსათვის ლაკურ ენაში

ნ. ჭოხონელიძე — ჟამ-ფუძიანი ომონიმური სიტყვების წარმომავლობისათვის ქართულში. ჟამი: 1. დრო, ხანი; საათი. ჟამი: 2. შავი ჭირი.

მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე — ფერეიდნული დიალექტის ლექსიკის შესწავლისათვის (მივლინების ანგარიში)

ც. ჯანჭღავა — მისალმების ფორმულები მეგრულში

ლ. კელაურაძე — გემინირებული ბგერებისათვის საერთო-ქართველურ-ბურუშულ-ბასკურში. I

რ. ლოლუა — ხინალულური ენის ადგილის განსაზღვრის პრობლემისათვის დალესტნურ ენათა შორის

მ. თეთრაძე — ლაბიალიზაცია ლეზგიურსა და თაბასარანულ ენებში

გამოსვლები და მოგონებები

26 დეკემბერი, 11 საათი

მ. ლლონტი — *სტ-ოვ მორფემის შემცველი კიდევ ერთი ლექსემა (მსტოვარ-ის და სტუმარ-ის მიმართებისათვის)

მ. ჩაჩანიძე — ენის ინტეგრალური აღწერისა და ლექსიკოგრაფიული ინფორმაციის ურთიერთმიმართებისათვის

მ. საღლიანი — ღერძული სიტყვის სემის ექსპლიკაციისათვის სვანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში (სომატიზმებში)

მ. ბუკია — დიმიტრი გულიას „აფხაზურ-ქართულ-მეგრული სიტყვების შედარებითი ლექსიკონი“

რ. რამიშვილი — „რუსუდანინის“ ლექსიკიდან (მოლაფლება)

დ. ახვლედიანი — ბორგვა-შფოთვის გამომხატველი ლექსემები სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში

ლ. ქაროსანიძე — ასოსტიქიონისა და ფონემის ცნებათა მიმართებისათვის

მ. ხახუტაიშვილი, ნ. ცეცხლაძე — -ავ და -ამ თემის ნიშანთა ხმარების თავისებურებანი კლარჯული და ქობულეთური მასალების მიხედვით

27 დეკემბერი, 11 საათი

ა. არაბული, ლ. ბინიაშვილი, ლ. სოხაძე — ერთი ტიპის ქცევის ფორმათა გრამატიკული ომონიმის ასახვისათვის ქველში

რ. ფარეულიძე — ზმნისართთა ერთი სახეობის შესახებ ჩეჩნურში

თ. ვაშაკიძე — სატელევიზიო რეკლამის ენა (ზოგი საკითხისათვის)

თ. ბურჭულაძე — ინვერსიული რიგის მსაზღვრელ-საზღვრულის თავისებურებისათვის

ნ. ხახიაშვილი — ნუსხავს სიტყვის სემანტიკისათვის

მ. კიკვაძე — კორელაციური ფუძეები გურულში (სოფელ ჭანჭათის მეტყველების ნიმუშების მიხედვით)

მ. სალია — ძველი ქართული სალიტერატურო ენის ზოგიერთი ფორმისათვის მეგრულში

მ. ჯღარკავა — -ქთ- ძირი ლაზურში

მ. ბარხაშვილი, ე. ნაპირელი — ინგილოური დიალექტის შესწავლისათვის (მივლინების ანგარიში)

ავთანდილ არაბული, ლალი ბინიაშვილი, ლიდა სოხაძე

ერთი ტიპის ქცევის ფორმათა გრამატიკული ომონიმიის ასახვისათვის ქეგლში

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ კვალიფიკაციათა სისტემასა და ძირითად ლექსიკოგრაფიულ პრინციპებში თავის გამოხატულებას პოვებს ის თავისებურებები, რაც ქართული ენის მარკირებული ქცევის ფორმების საკმაოდ რთული სურათის წარმოდგენასთან არის დაკავშირებული.

ამგვარად მარკირებულ ქცევის ფორმათა გრამატიკული (სემანტიკური) ნეიტრალიზაციის შემთხვევებთან ერთად (რაზეც უკვე გვქონდა მსჯელობა) საკმაოდ საინტერესოა ისეთი იშვიათი მაგალითები, როდესაც გარდამავალი ზმნის სასუბიექტო ქცევის ფორმა (როგორც წესი, ორპირიანი) პირის კლების შედეგად მთლიანად იძენს კონვერსიულ ანუ ვნებითის შინაარსს. შდრ.:

აიწევს-ს¹ (აიწია, აუწევია ოთავისი) გრდმ. სუბ. ქც. ასწევს ზმნისა ასწევს თავისას. გველი... მიცოცდა ჯავთან, აიწია თავი მალლა და ენა გადმოაგდო (**ვაჟა**). აიწია კაბის კალთა, ხელი ჯიბეს დაისწორა, ამოიღო წყვილი ვაშლი და ცალ-ცალკე გაუგორა (**შ. მღვიმ.**).

აიწევს-ს² (აიწია, აუწევია, იყენ. აგრეთვე აწეულა) გრდმ. 1. აიმართება, მალლა დადგება, აიწვევრება. არწივმა აიწია, აფრინდა (**ვაჟა**). მზემ აიწია ცაზედა, ნისლებმ დაწირეს ხეები (**ვაჟა**). 2. მოიმატებს. ტემპერატურა შუადღისათვის აიწევს ხოლმე. — მიწის ღალამ აიწია (**ილია**). საქონლის ფასებიც ერთიორად აიწევს (**ილია**). 3. აიყრის (ტანს), წამოიზრდება. ისე აიწია ნათესმა, რომ ღეროები თითქმის ღობის ნახევრობამდე ამალდნენ (**ი. მკვაგ. თარგმ.**). 4. ამოვა, გაფუფუნება (ცომი). ხელს რომ დააჭერთ ცომს, ისე მალლა აიწევს და გასწორდება (**ბ. ჯორჯ.**).

აიწევს-ა (აიწია, აწეულა) გრდმ. ვნებ. ასწევს ზმნისა 1. აწევა მოხდება რისამე, ასწევენ; აწევა შეიძლება. მივიდოდა ვარსიმ ვარძელი, აიწეოდა უზარმაზარი ფარჩის ფარდა (**კ. გამს.**). 2. იგივეა, რაც აიწევს². სახურავზე ჯდომით, ვატყობ, ფრთები ამომდის, მეზრდება, სცაა ავიწევი და გავფრინდები (**მ. ელიოზ.**).

როგორც ვხედავთ, **აიწევ**-ს² ფორმალურად **აიწევ**-ს¹ ერთეულს ეწყვილება, ხოლო სემანტიკურად (ლექსიკურად) — **აიწევ**-ა ფორმას. ამგვარი ვითარების ლექსიკოგრაფიული ასახვის რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს:

1. კვალიფიკაცია (ქცევაზე მითითება) საერთოა, პირთა ვითარება და გრამატიკული შინაარსი ცალ-ცალკე აისახება:

იწევ-ს გრდმ. სუბ. ქც. ს წ ე ვ ს ზმნისა: 1. (「გა」იწია, 「გა」უწევია თავისთვის ან თავისკენ) სწევს თავისკენ ან თავისთვის, — ეწევა. II ფიგურ. იწიე კამბეჩივით უღელი, მინას პეტრუხოვიჩი! (**ზ. ანტონ.**). 2. (აიწია, 「აუწევია თავისი」 ან დაიწია, 「დაუწევია თავისი」) სწევს თავისას ზევით ან ქვევით. სახელოებს იწევს. — შარვლის ტოტებს იწევს. 3. (გაიწია, გაუწევია) ვრცელდება, იზრდება (რაიმე მიმართულებით); იჭიმება, იწელება, იზიდება. ჰიაყელამ იწია, იწია და შუაზე გაწყდაო (**ანდაზა**). 4. (აიწია, აუწევია) მიდის, მიემართება მაღლა. როცა ჰაერსა ვყლაპავთ, მაშინ ჩვენი მკერდი მაღლა იწევს, განიერდება (**ი. გოგებ.**).

2. ქცევაზე მიეთითება მხოლოდ პირველ შემთხვევაში, მეორე შემთხვევაზე კი განმარტება მიანიშნებს; მაგ.:

გადმოიწევ-ს გრდმ. 1. (გადმოიწია, გადმოუწევია 「თავისი」) სუბ. ქც. გ ა დ მ ი ს წ ე ვ ს ზმნისა გადმოსწევს, გადმოლუნავს თავისას ან თავისკენ. 2. (გადმოიწია, გადმოუწევია) იგივეა, რაც გ ა დ მ ი - წ ე ვ ა.

3. არის ცდა, მითითებული განსხვავება აისახოს I თურმეობითის ფორმებისა და შესაბამისი უკუქცევითი ნაცვალსახელების მეშვეობით; მაგ.:

ა) **ჩაიწევ**-ს გრდმ. **1.** (ჩაიწია, 「ჩაუწევია თავისი」) სუბ. ქც. ჩ ა ს წ ე ვ ს ზმნისა ჩასწევს თავისას. წინდა ჩაიწია. **2.** (ჩაიწია, ჩაუწევია ან ჩაწეულა) 1. დაიწევს რამეში მყოფი, — ჩაიწევა (მნოვ. 2), დაეშვება, ჩაეშვება. სამგზავრო წლის ყელი მეტად მაღალი იყო და რევოლვერი ძალიან დაბლა ჩაწეულიყო შიგ (**ე. ნინოშ.**). II უკან დაიხვეს. 2. დადაბლდება (ნიადაგი).

ბ) **მიიწევ**-ს **1.** (მიიწია, 「მიუწევია თავისთვის, თავისკენ」) გრდმ. სუბ. ქც. მ ი ს წ ე ვ ს ზმნისა მისწევს თავისთვის ან თავისკენ. მის მაუჩერმა მიიწია სკამი და თავისი უშველებელი ჩანთიდან დაიწყო ნივთების ამოღება (**ქ. ბაქრ.** თარგმ.). **2.** (მიიწია, იყენ. მიწეულა) გრდმ. 1. მცირე

მანძილზე ადგილს გადაინაცვლებს (აქედან იქით), — მიიწევა (მნიშვ. 2). 2. გაიწეეს (თავდასასხმელად, შესატევად...). დათვი..., რაც უნდა ძლიერ ყოფილიყო დაჭრილი, მაინც მიიწევდა მონადირეზე (**ი. ელფო.**).

ბოლო ორ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ნუმერაცია შრიფტის ზომითაც იყო განსხვავებული. ასევე, დასტურდება შემთხვევა, როდესაც ვნებითის შინაარსის მატარებელი ფორმის I თურმეობითს მიეწერება ნაცვალსახელი „თავისით“:

დაიწევ-ს გრძმ. **2.** (დაიწია «დაუწევია თავისით») 1. დაეშვება (ძირს, დაბლა). ერთ დღეს ხმელეთმა ძირს დაიწია (**ე. ნინოშ.**).

4. შესაძლებელია აღწერილი ვითარება წარმოდგენილი იყოს სალექსიკონო ომოფორმების სახით (იხ. **აიწევ**-ს).

ანალოგიურ შემთხვევას შეიძლება დავაკვირდეთ რამდენიმე სხვა ზმნური ფუძის მაგალითზე: **გადანაცვლებ**-ს, **გადაიფრენ**-ს, **ჩაიჩორებ**-ს და მისთ.

დი ა ნ ა ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

ბორგვა-შფოთვის გამომხატველი ლექსემები სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში

ბორგვა-შფოთვის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები ქართულში იშვიათი მრავალფეროვნებით ხასიათდება — გამოიყოფა რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი და ათეულობით ლექსემა:

ძველ ქართულში **შფოთვა** არაერთი ლექსემით გადმოიცემა. სავსებით განსხვავებულია დიალექტური მონაცემები. **სალიტ.** **ბორგვა; ბობოქრობა; გაშმაგება, ბორგნეული-** სასტიკი, **შფოთვა-** მოუსვენრად ყოფნა, **გაბრაზება / ბრაზი,** სიცოფე ძლიერი (საბა); **განრისნება-** გულის წყება, დიდი წყრომა, იქვე; ბორგვა-კაცი გულისწყრომით ვერ დადგეს, იქვე; გაშმაგება, გახელება, **ბრდღვინვა** [ტოტით მიწის გლეჯა, ცხოველის გაბრაზება (საბა)]; **გააფთრება, ადძგრა, გულგანრინება** (ზ.სარჯ.); **მშფოთველი, გულგდებული, დრტვინვა, განცო-**

ყება- ჭკუის წასვლა (საბა); **ზრზინება** (ბოროტად აღძვრა), **აღტყინება** (ძლიერი აღზნება); **განძვნება** — მწეცური გაჯავრება (საბა), **ამბოხება**-შფოთი, არეულობა; **აღდუღება**-აღდუღება, აღძვრა; აღზნებულ, დანთებულ; **აღდგინება**-აყენება, აღძვრა, აღზრზინება.

2. **ბორგვა-შფოთვა** დიალექტებში საინტერესო ლექსემებიტაა გამოხატული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფშაურის, ქიზიყურის, ინგილოურის, მოხეურის, ქართლურისა და ლეჩხუმურის მასალები.

დიალ. **შეცაცხანება** (იმერ.), **განარება** (ქიზიყ), **აბორგვნება** (ფშ.), **აფიშფიშება** (ქართლ.), **ბირძდინი** (იმერ.), **გაფრანგვა** (ქიზიყ., ინგილ.), **გაფრახება** (მოხ., ქართლ), **გაუხვინება** (რაჭ.), **შეპინტრიკება** (ლეჩხ.), **ქორქალი**, **ქვარქვალი** (რაჭ., იმერ.), **აცხვირება**, **გაგუზება** (თუშ.), **გატუჩული** (ქართ.), **გაკუნტუღება** (იმერ.), **გაკუნუნდურება** (ოკრიბ.), **აკვიწინება** (გურ.), **ალიზინება** (რაჭ., იმერ.), **აღერღვა**, **შფოთიანობა**.

მ ა ი ა ბ ა რ ა მ ი ძ ე

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების ქართული მეტყველების თავისებურებანი

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლები თურქეთში სახლობენ მათი წინაპრების მიერ XIX საუკუნის 70-80-იან წლებში არჩეულ ადგილებში. ესენია სოფლები: ჩათალფინარი, ყორღანი, ბაჯანალი, დუაიერი, ტაქტაბაში, შირინქოი, ქირაზდერე...

ქობულეთელი მუჰაჯირების შთამომავლებს შეუწახავთ მშობლიური ქართულის — ქობულეთური კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, რომლებიც დღესაც დაცულია ქობულეთის რეგიონის მკვიდრთა მეტყველებაში.

ფონეტიკურ თავისებურებათაგან შედარებით ფართოდ გავრცელებულია **ასიმილაცია**: *ახლა გიმინარდა; დუურიგებენ ყველას,*

მოზობლებს... ბგერის დაკარგვა: სა(სად) წიმიყვან? ერი(ერთი) ოჯახია იგიც; ცეხლი(ცეცხლი) ეკიდება; დასურ(დასტურ) ქალია...

ბგერის გაჩენა. ო ხმოვნით დაწყებულ რიცხვით სახელებში ყოველთვის ჩნდება თავიკიდური ვ: ვოთხ(ოთხ) ბალანას გაავ ზანის; ას ვოზდაათი; ვოთხას სამი.

ბგერთა შენაცვლება. თლათ დამამიწყდა; შდრ.: დამაბიწყდა(მაჭახლური); მაცყცი(აბაყყი).

კომპლექსთა მონაცვლეობის მაგალითია: შენ სახში ედი და მე მუალ(მოვალ); იგიც მუა(მოვა).

ბგერის გადასმა. ყორიფელი(ყოვლიფერიყოველიფერი) არის; ყორიფელი შეჭამენ.

მორფოლოგიურ თავისებურებათაგან აღსანიშნავია ზმნის ფორმათა წარმოება. **-ამ** თემის ნიშნიანია თანამედროვე სალიტერატურო ქართულისა და სხვა დიალექტების **აართმევს: კაცი ვერ აართუამს ხელიდან.**

I თურმეობითში მესამე პირის მრავლობით რიცხვში ზმნებს აქვთ **-ან** სუფიქსი: წამუღლიან(წამოღლიან), დუღუშენებიან (დაღუშენებიან), მოწონებიან(მოსწონებიან).

მინდა, გინდა, უნდა ზმნები მრავლობით რიცხვში დაირთავენ **-ებ** თემის ნიშანს: რაცხა თუ გინდებიან, მითხარიო; რა უნდებიან, არ ვიცი. შდრ. მაჭახლური: გინდანან, უნდანან.

ხმოვანმონაცვლე ზმნები I სერიაში **-ავ** თემის ნიშანს დაირთავენ: მოზილავს(მოზელს), გაფინავს(ვაფენს).

მყოფადი გადმოიცემა II კავშირებითის მწკრივით: ახლა მე რაცხა გითხრა შენ; მაი გითხრა ახლა მე. ამ წინადადებებში გითხრა იგივეა მნიშვნელობით, რაც გეტყვდ.

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების ქართულშიც მრავლად გვხვდება მთლიანად აჭარულსა და საერთოდ დასავლურ კილოებში ფართოდ გავრცელებული სინტაქსური მოვლენა — გარდაუვალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში: ხალხმა მოვდა, უკან ვერ დაბრუნდა; მამამ იქ დარჩა; მამ გინმა გეიზარდენ; საქართველოდან რომ ჩამოვდა ხალხმა.

მუჰაჯირების შთამომავლების ქობულეთურს სხვა კილოკავთაგან განასხვავებს ლექსიკაშიც: *ჟვერი (ფოთოლი) დაახურენ; სულიკო ბუძიაჲ (ბიძია) ჩემი ბაბაჲს ბიძიშვილია; ჩვენი ძველი გვარი გოლომანიძე, ვარიგებულან (ვამოყოფილან); ახლა მოტორით ვეკიდებით.* შდრ. მაჭახლური: *ვეწიკებით; ჩემი ყაენის ბაღნები სოფელში ქართულა ლაპარიკობენ.* შდრ. ზემო აჭარული: *ბაღნები.*

ბერი ძირისაგან **და** ზმნისწინით იწარმოება **დაბერიდა**, რომელსაც აქვს გაკვირვების, ზოგჯერ შეშინების მნიშვნელობა: *დაბეჩდა (გაუკვირდათ) თურქებმა; დავბეჩდი (შევშინდი), ენა ჩემეკლიტა. რას მიბნებთან (მეუბნებთან).*

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების ქართულში შედარებით ნაკლებია თურქიზმები (შავშეთისა და კლარჯეთის ქართული წარმოშობის მკვიდრთა მეტყველებასთან შედარებით).

მ ა ი ა ბ ა რ ი ხ ა შ ვ ი ლ ი , ე ლ ე ნ ე ნ ა პ ი რ ე ლ ი

ინგილოური დიალექტის შესწავლისათვის (მივლინების ანგარიში)

2012 წლის 29 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე მივლინებით ვიმყოფებოდით კახეთში, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში. ამ სოფელში ცხოვრობენ საინგილოდან გადმოსახლებული ქართველები. მიგრაციის პროცესი დაწყებულია 1921 წელს.

ჩვენი მივლინების მიზანი იყო შეგვესწავლა სამთაწყაროში ჩასახლებულ ინგილოთა მეტყველების თავისებურებანი სალიტერატურო ქართულთან და კახურ დიალექტთან მიმართებით.

„კუნძულური დიალექტოლოგიის“ გამოცდილების გათვალისწინებით გვინდოდა ამ კუთხით გვეკვლია ქართულ სინამდვილეში წარმოქმნილი „დიალექტური კუნძულის“ განვითარების ტენდენციები, გაგვერკვია, თუ როგორ ხდებოდა დიალექტური იდენტობის შენარჩუნება, რა ცვლილებები შეინიშნებოდა ლექსიკაში და ა.შ. ამ მიზ-

ნით ჩვენი მუშაობის პროცესი რამდენიმე მიმართულებით წარ-
ვმართეთ:

- ამ ენობრივ კოლექტივში ინგილოური ლექსიკის შეკრება და შედარება, ერთი მხრივ, სალიტერატურო ქართულთან და, მეორე მხრივ, ინგილოური დიალექტის ლექსიკურ ფონდთან.
- ტექსტური მასალის მოპოვება და ინგილოური ტექსტური კოლექციის გამდიდრება.
- 1936 წელს საინგილოში ილარიონ პაპაშვილის მიერ ჩაწერილი შინამრეწველობის მასალების გადამოწმება ადგილობრივ მოსახლეობასთან.

მივლინების დროს დავადასტურეთ საინტერესო პროცესები „დიალექტურ კუნძულში“ ენობრივი კოდების შერევისა და გადართვისა. ეს ენობრივი კოლექტივი ვითარდება სპეციფიკურ ენობრივ გარემოში, ახალ ტერიტორიაზე და, ბუნებრივია, განიცდის როგორც კახური დიალექტის, ისე სალიტერატურო ენის გავლენას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე სოფელში ცხოვრობს აჭარიდან გადმოსახლებული მოსახლეობა. ხშირია შერეული ოჯახები, ამდენად, ამ ორი დიალექტის ურთიერთგავლენაც ცალკე კვლევის საგანია.

მოხსენებაში ვრცლად წარმოვადგენთ ჩვენი მივლინების შედეგებს. ვიმსჯელებთ ენობრივ და ლექსიკურ ცვლილებებზე, იმ საყურადღებო პროცესებზე, რომლებიც ამ პატარა „დიალექტური კუნძულისთვის“ არის დამახასიათებელი.

მოპოვებული მასალა მუშავდება და განთავსდება „ქართულ დიალექტოლოგიურ კორპუსში“ <http://www.mygeorgia.ge>.

ფერეიდნული დიალექტის ლექსიკის შესწავლისათვის (მივლინების ანგარიში)

2012 წლის 23 აგვისტოდან 14 სექტემბრამდე რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მივლინებით ვიმყოფებოდით ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ფერეიდნული დიალექტის შესასწავლად. ეს იყო ჩვენი მესამე მივლინება ირანში (2008, 2009). შესაბამისად, ჩვენი ამოცანები იყო კონკრეტული და უფრო მეტად დაყრდნობილი წინა მივლინებაში მოპოვებული მასალის ანალიზზე.

მივლინების მიზანი იყო ფერეიდნული ლექსიკონის სიტყვანის შევსება-დაზუსტება; არსებული სალექსიკონო მასალის გადამოწმება; შიდადიალექტური დიფერენციაციის დაზუსტება და ამის ნიადაგზე არსებული ლექსიკური პარალელიზმების გამოვლენა; ამასთანავე, ტექსტური კოლექციის შევსება.

ლექსიკურ ერთეულთა რეგისტრაცია, ბუნებრივია, წინა მივლინებებშიც მთავარი ამოცანა იყო. მაშინ ჩვენ ძირითადად ტექსტური მონაცემითა და არსებული კითხვარებით შემოვიფარგლეთ (მოტივირებული თხრობა, დარგობრივი ლექსიკა, ონომასტიკა და სხვ.). ამჯერად ვმუშაობდით იდეოგრაფიული პრინციპით შემუშავებული კითხვარით.

მუშაობა წარიმართა რამდენიმე მიმართულებით:

- დიალექტური თავისებურების წარმოჩენა
- სალიტერატურო ენასთან საერთო ლექსიკის წარმოჩენა
- სპარსულ-ქართული პარალელიზმების წარმოჩენა
- „ნაკლული“ სემანტიკური ველების დადგენა

ჩატარებული სამუშაო მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დიალექტოლოგიური, არამედ მრავალი სხვა ასპექტითაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს მასალა კონტრასტული ლინგვისტიკის თვალსაზრისით. სწორედ ამგვარი კვლევის შედეგებმა უნდა განსაზღვროს ფე-

რეიდნელთათვის ქართული სალიტერატურო ენის სწავლების სტრატეგია.

ბოლო წლების განმავლობაში ვაკვირდებით იზოლირებული ჯგუფის ბირთვულ ენობრივ და კულტურულ არეალთან ინტეგრირების ცოცხალ პროცესს. ამ თვალსაზრისითაც ძალიან საინტერესო მასალა გამოავლინა ამ მივლინებამ.

მივლინების შედეგები დოკუმენტირებულია და წარმოდგენილი იქნება მოხსენებაში.

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

დიმიტრი გულიას „აფხაზურ-ქართულ-მეგრული სიტყვების შედარებითი ლექსიკონი“

მოხსენებაში განხილულია დიმიტრი გულიას „აფხაზურ-ქართულ-მეგრული სიტყვების შედარებითი ლექსიკონი“, რომლის ორიგინალიც ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ჩანს, ლექსიკონი მომზადებულია 1910-იან წლებში. 1921 წელს ავტორს ის გაუგზავნია ექვთიმე თაყაიშვილისთვის. დ. გულია ლექსიკონზე დართულ წერილში უთითებს, რომ მას მზად ჰქონდა მსგავსი მასალა სვანური ენიდან.

ლექსიკონში 300-მდე ლექსიკური ერთეულია წარმოდგენილი. ავტორი არ იკვლევს, არ უთითებს საერთოკავკასიურ ფორმებს თუ სიტყვათა სესხების მიმართულებას. რიგ შემთხვევაში დ. გულიასეული შედარებები მიუღებელია, ეჭვქვეშ დგას ამა თუ იმ ფორმის პოზიტიურება მითითებულ ენაში...

მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, დ. გულიას „აფხაზურ-ქართულ-მეგრული სიტყვების შედარებითი ლექსიკონი“ პ. ჭარაიას ნაშრომთან „Об отношении абхазского языка к яфетическим“ ერთად შეიძლება ჩაითვალოს ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურ-

რული და ეთნოლინგვისტური ურთიერთობის კვლევის ერთ-ერთ პირველ ნიმუშად.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

ინვერსიული რიგის მსაზღვრელ-საზღვრულის თავისებურებისათვის

ცნობილია მსაზღვრელ-საზღვრულის ორგვარი სახე: ატრიბუტული და სუბსტანტიური. წყობის თვალსაზრისით კი გვაქვს პრეპოზიციული, პოსტპოზიციური და ე.წ. გათიშული მსაზღვრელის ტიპი. თანამედროვე ქართულისთვის ბუნებრივია პრეპოზიციული წყობა, ხოლო პოსტპოზიციური რიგი შედარებით იშვიათად გამოიყენება.

ებ-იანი მრავლობითის შემთხვევაში პრეპოზიციული წყობის მსაზღვრელი მხოლოდ მხოლობითი რიცხვის ფორმით წარმოგვიდგება: **წითელი** ვაშლები, **სუფთა** სახლები, **ლამაზი** გოგოები...პოსტპოზიციური წყობისას ორივე შემთხვევა გვაქვს: ვაშლები **წითლები**, ვაშლებმა **წითლებმა**, ვაშლებს **წითლებს** და ა.შ. შდრ.: სახლები **სუფთა**, სახლებმა **სუფთამ**, სახლებს **სუფთას**... ატმები **მწიფე**, ატმებმა **მწიფემ**, ატმებს **მწიფეს**... მაგიდები **მრგვალი**, მაგიდებმა **მრგვალმა**, მაგიდებს **მრგვალს**...(არ გვექნება: სახლები **სუფთები**, სახლებმა **სუფთებმა**, სახლებს **სუფთებს**...ატმები **მწიფეები**, ატმებმა **მწიფეებმა**, ატმებს **მწიფეებს**... მაგიდები **მრგვალები**, მაგიდებმა **მრგვალებმა**, მაგიდებს **მრგვალებს**...და ა.შ.).

როგორც ჩანს, მსაზღვრელის მრავლობითობას (მისი მრავლობითი ფორმის გამოყენებას) განაპირობებს სემანტიკა. გასათვალისწინებელია, რა შინაარსს გადმოსცემს ის და როგორი შინაარსობრივი მიმართება აქვს მას საზღვრულთან.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ცალკე აღებულ ფერის აღმნიშვნელ ზედსართავ სახელს არ მოეპოვება მრავლობითი რიცხვის ფორმები, თუ ის არ არის გაარსებითებული, ან თუ ისეთ შემთხვე-

ვასთან არა გვაქვს საქმე, როცა კონტექსტში მასთან საზღვრული იგულისხმება(შემოვიდნენ **წითლები; თეთრები** აცვია...). თუმცა ამის მიუხედავად, პოსტპოზიციური წყობისას მაინც დასტურდება მსაზღვრელი მრავლობითი: ფოთლები **ყვითლები**, ვაშლები **წითლები**, გოგოები **ლამაზები** და სხვ.

ვეიქრობთ, პოსტპოზიციური წყობისას მსაზღვრელის საზღვრულთან მრავლობით რიცხვში შეთანხმება ძალზე ხელოვნურია თანამედროვე ქართული ენისათვის და არაბუნებრივი, რასაც ადასტურებს პრეპოზიციული წყობა, რომელშიც არ დასტურდება მსაზღვრელი მრავლობითის ფორმით: **მაღალი** ხეები, **მწვანე** მინდვრები, **ლამაზი** სახლები... პოსტპოზიციური წყობის მრავლობითი რიცხვის ფორმები მსაზღვრელებისა სინტაქსურად უფრო დანართის, დაზუსტების დანიშნულებით გამოიყენება: ვაშლები, წითლები, იყიდებოდა; სახლები, ლამაზები, მოჩანდა...დანართის ფუნქციით გამოყენებული პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფორმები ბუნებრივი ჩანს. მაშასადამე, აქ მომლილია მსაზღვრელ-საზრულის სინტაქსური კავშირი და მსაზღვრელი დამატებითი ინფორმაციის ფუნქციას იძენს.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

სატელევიზიო რეკლამის ენა (ზოგი საკითხისათვის)

„ძლიერდება ენის სასიცოცხლო ძალა, როცა ფართოვდება ენის გამოყენების არე“ (არნ. ჩიქობავა).

სარეკლამო ტექსტის პრობლემები გაშუქებულია ლ. დიუპონის, ლ. ზრომოვის, ვ. ჰოპკინსის, ს. ტივარისა და სხვათა ნაშრომებში.

მხატვრული თვალსაზრისით (სიტყვიერი აღჭურვილობით) მაღალ დონეზე გაფორმებული სატელევიზიო რეკლამა პროდუქციის რეალიზაციას ხანგრძლივად ემსახურება.

სატელევიზიო რეკლამათა ტექსტის ანალიზისას გამოიკვეთება შემდეგი თავისებურებანი:

1. მიმართვის პირველსავე აბზაცში საუბარია პროდუქციის არაორდინარულობის შესახებ („აბსოლუტურად განსხვავებული“..., „ჯერ არნახული“..., „გამორჩეული“...).

2. ტექსტის შედგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადრესატის გათვალისწინებას, მაგალითად, თუ პროდუქცია ბავშვთა საკვებს წარმოადგენს, მიმართვა ძირითადად დედებს შეეხება („დედებო, გახსოვდეთ“...; „დედებო, ყურადღება მიაქციეთ“...; „დედებო, გაითვალისწინეთ“...).

3. სარეკლამო ტექსტი მოკლედ მოუთხრობს მომხმარებელს პროდუქციის უპირატესობის შესახებ (რა სიახლით გამოირჩევა იგი). მაგალითად, „ალბათ ყველამ იცით, რომ **ცქრიალა ღვინის** (შამპანურის) დასამზადებლად მასალა გამომეშავდება ყურძნის საუკეთესო ჯიშებისაგან. ასეთ შემთხვევაში ყურძნიდან სიტკბოს იღებენ მთელი მტევნების გამოწნევით. გაუსინჯეთ გემო ამ წესით დამზადებულ **ცქრიალა ღვინოს** და დაამშვენეთ თქვენი სადღესასწაულო სუფრა“.

4. სარეკლამო მიმართვათა ზმნა-შემასმენლები ძირითადად მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებით წარმოგვიდგება („მხოლოდ ერთხელ **გაუსინჯეთ** გემო“; „**მიირთვი**თ და **ისიამოვნეთ**“; „**დატკბით** არნახული ნეტარებით“; „**გალამაზდით** და **იყავით** ყოველთვის თავბრუდამხვევი“; „**ამოიცანით** ბუნების საიდუმლო“; „**გაიხანგრძლივეთ** სიცოცხლე“ და სხვ.).

5. პროდუქციის დახასიათებისას საკმაოდ ხშირად გამოყენებულია: ა) აბსტრაქტული სახელები („ბუბუ (ფაფა ბავშვებისათვის) — ჯადოსნული ძალა, **სიხალისე** და **ჯანმრთელობა**“...); ბ) სემანტიკურად მსგავსი ლექსიკური ერთეულები („ნესკვიკი — **მაგიური, ჯადოსნური, მომაჯადოებელი**“...); გ) ანტონიმები („ყოველთვის სასურველი — **დარშიც** და **ავდარშიც**“; „ყველა მოიხდენს — **მადალიც** და **დაბალიც**“...); დ) მხატვრული შედარება („**მზესავით** ნათელი“; „**თაფლივით** ტკბილი“...) და ა.შ.

არცთუ იშვიათად რეკლამის ტექსტის შემდგენლები ლექსებსაც მოიხმობენ სათქმელის ადეკვატურად წარმოსაჩენად. სწორედ ამგვარად არის გაფორმებული ყველასათვის ცნობილი რეკლამა — **ლუდი ნატანტარი** (აღსანიშნავია, რომ პროდუქცია თავისი რეკლა-

მითურთ შემოთავაზებული იყო ზამთარში):

„მე მიყვარს თოვა, სიცვლქე ანცი,
მეც ვემსგავსები თავგასულ ყმაწვილს,
მიყვარს ზამთარში სიძუნწე ფერთა,
მიმოფანტული ველეებზე თეთრად.
მიყვარს ნაძვის ხე, ბუხარი, სითბო,
ის, ვინც საჩუქრებს ყოველ წელს ითხოვს...
ჩემს ბიჭებთან როგორ მიყვარს
დღის და ღამის არევა,
რომც გტკიოდეს, რომც გციოდეს,
იქ თვით ლუდის დაღევა...
ჩვენ ერთად ვართ, მთავარია!
მერე რა, რომ ზამთარია!“

(ნიკო გომელაური)

შეინიშნება სხვა თავისებურებანიც.

მ ა კ ა თ ე თ რ ა ძ ე

ლაბიალიზაცია ლეზგიურსა და თაბასარანულ ენებში

ლაბიალიზებული თანხმოვნები ლეზგიურ ენაში წარმოდგენილია წინაენისმიერთა, უკანაენისმიერთა და ფარინგალთა რიგებში.

წინაენისმიერნი:თ, თჷ, ტ, ც, წ, ზ, ს, ჭ, ჟ

უკანაენისმიერნი:გ, ქჷ, ქ, ჯ, ხ

ფარინგალები: ჳ, ჴ, ჶ, ჵ

გარდა ამისა, ნიუთიუგის თქმაში არის ასევე მყდერი ლაბიალიზებული სპირანტი ლ და უკანაენისმიერი ლაბიალიზებული სპირანტი ხ, რომელიც სხვა დიალექტებში არ გვაქვს. მის ადგილას გიუნეურსა და კურახულში გვხვდება ბაგისმიერი სპირანტები ვ და f, ან ლაბიალიზებული სი.

ახისა და ფიის თქმებში დაფიქსირებულია ასევე სამი ლაბიალიზებული ბგერა: ჩ, ჩწ, შ (რ. გაიდაროვი).

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი თანხმოვანი ფონემაა და კორელაციაშია ამა ვერიგის სადა თანხმოვნებთან.

ლეზგიურში ლაბიალიზებული თანხმოვნების გვერდით (სხვა დადესტნურ ენების მსგავსად) წარმოდგენილია მეორეული ლაბიალიზებული თანხმოვნები, რომლებიც ფუძეში მომდევნო ლაბიალური ხმოვნის გავლენითაა მიღებული, თუმცა ლაბიალიზებული თანხმოვნები შეიძლება სხვა ფონეტიკური პროცესის შედეგიც ყოს: ლაბიალური ხმოვნის გავლენით წინაენისმიერი ხშული ბგერა მრავლობითი რიცხვის სუფიქსის დართვით იცვლება: წუჟ, მრ.რ. წუჟარ; აუსლაუტის ხშული მაშინაც ლაბიალიზდება, როცა მას წინ უძღვის ლაბიალიზებული თანხმოვანი: ხენ > მრ.რ. ხენხერ.

სხვა ტიპის ლაბიალიზაციაა ზმნებში, ორი მარტივი პრევერბის შეერთებისას, რომელთაგან ერთ-ერთია აჟ-, იწვევს აფიქსიებული ხმოვნის რედუქციას, ამის შედეგად ბაგისმიერი ჟ უშუალო კონტაქტშია წინამავალ თანხმოვანთან და ახდენს მის ლაბიალიზაციას: აჟაქქაჟა; ჟათუნქქაჟათუნ.

ლეზგიურში ფონეტიკური ტენდენციაა ლაბიალიზაციასთან ერთად დელაბიალიზაცია, განსაკუთრებით გიუნეის დიალექტის თქმებში. ყველაზე ხშირად ლაბიალიზდება დენტალები ტ და თ ერთმარცვლიან CVC ტიპის ფუძეებში: ტარ- ტარ, თარ - თარ.

ლეზგიურ-რუსული ლექსიკონში ფუძეში ლაბიალიზებული თანხმოვნები დაახლოებით 200 სიტყვაში დაფიქსირდა. საგულისხმოა, რომ ლაბიალიზებული თანხმოვნები სახელური ფუძის შემადგენელი ნაწილია (თაბასარანულის მსგავსად).

თაბასარანულში ბილაბიალიზაცია წარმოდგენილია სამხრულ დიალექტში: უკანენისმიერებში — გ, ქ, ქწ, კ, ლ, ხ; ფარინგალებში — ჰ, ჰწ, ყ.

თაბასარანულში ლაბიალიზებული თანხმოვნები კორელაციაშია იმავე რიგის სადა თანხმოვნებთან და ქმნის განსხვავებული მნიშვნელობის ერთმანეთთან დაპირისპირებულ სიტყვათა რიგს, თუმცა რიგ

ფუძეებთან დაკავშირებით, შეიძლება ვიფიქროთ სემანტიკურ სიახლოვეზეც, მაგ., გარ „დოქი“ — გარ „ნაჭუჭი“ (ც. ბარამიძე).

ლაბიალიზაციის გარდა, თაბასარანულში გვაქვს დენტოლაბიალიზაციაც. ამ შემთხვევაში დენტოლაბიალიზებულ თანხმოვნებს პოზიციური შეზღუდვა არ აქვთ ლაბიალიზებულ თანხმოვნებისგან განსხვავებით და ლაბიალური ხმოვნის წინა პოზიციაშიც გვხვდება. დენტოლაბიალიზებული თანხმოვნებია შიშინა აფრიკატები და სპირანტები: ჯჳ, ჩჳ, ჩწ, ჭჳ, ჭჳ, შჳ, შწ

შიშინები არ შეიძლება იყოს ლაბიალიზებული. დენტოლაბიალიზებული თანხმოვნები წარმოდგენილი გვაქვს თაბასარანულის აულების მოსაზღვრე ალულოური აულების ბურშაგისა და არბულის წარმომადგენელთა მეტყველებაშიც.

თაბასარანულის დენტოლაბიალიზებულ თანხმოვნებს სისტემური შესატყვისობები აქვს ლეზგიურ ენებში. ა. მაჰომეტოვი განიხილავს შესატყვისობების ვარიანტებს და კანონზომიერ სურათს წარმოგვიდგენს (ა. მაჰომეტოვი, თაბასარანული ენა).

ლაბიალიზაციის შესწავლა ფუძეთა კლასიფიკაციისათვის მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის, აქედან გამომდინარე, მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება დაწვრილებით ყველა ის ფონეტიკური მოვლენა ლეზგიურსა და თაბასარანულში, რომლებიც დაკავშირებულია ლაბიალიზაციასთან.

ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

გემინირებული ბგერებისათვის საერთო-ქართველურ-ბურჟუშულ-ბასკურში. I

საერთო-ქართველურ ყრუ უველარულ აფრიკატს q/ ბურჟუშულში ყრუ უველარული აფრიკატი qh/ q/ ან ყრუ ლარინგალური სპირანტი h/ h/ , ხოლო ბასკურში ყრუ ლარინგალური სპირანტი h/ h/ ან ნულოვანი რეფლექსი შეესატყვისება.

სქ ჯ /q/ : ბურ. **qh /q/**, (ი.) **x /x/**; **h /h/** : ბასკ. **h/h/**; 0

ს.-ქართვ. *ლოჯ- > ქართ. (მოხ., მთიულ.) ლოჯ-ი „ჭუჭყყი; წყალში გახსნილი ნაკელი, რომელიც მოსაბლალად იხმარება; მეტად ჭუჭყიანი წყალი“; ზან. (მეგრ.) ლოხ-ი „გვამი; უსუფთაო, ბინძური“ : ბასკ. **lohi** „ჭუჭყი, ტალახი, შლამი; თიხა; სიბინძურე; სხეული“;

ს.-ქართვ. *ჯარ-//*ჯან- > ქართ. ჯარ-ი; ხარ-ი; ზან. (მეგრ.) ხოჯ-ი, (ლაზ.) ხოჯ-ი „ხარი“; ქართ. მო-ვ-ჯან; ზან. (მეგრ.) ხონ-უ-ა „ხენა“, (ლაზ.) ფ-ხონ-ი „მოხვანი“; სვან. ჯან „ხარი“, ა-ჯან „მოხანი“ : ბურ. **har** „ხარი“; (ი.) **har-** „ხენა“ : ბასკ. **ar** „მამრი, ხვალი“;

ს.-ქართვ. *ჯაფ- > სვან. (ქალდანი, თოფურია) ჯაფ(ჟ), ჯაფ „პირი, კბილები, პირის ღრუ, ხახა“, (გუჯჯიანი, პალმაიტისი) ჯაფჟ „პირში“ : ბურ. **qhap** „საჭმელად პირში ჩაღება“;

ს.-ქართვ. *ჯერ- > ქართ. ჯერ-ი „ღერო“; სვან. (ბზ.) ჯერ, (ბქ.) ჯერ „სახელური“ (მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის შდრ.: ს.-ქართვ. *კოლ- > სვან. კელ „ღერო; სახელური, ტარი; ყუნწი“; ზან. (ლაზ.) კოლ-ი „ტარი“) : ბურ. (ჰ.-ნ.) **qhirii**, (ი.) **kheré** „ხორბლის ღერო“ : (?) ბასკ. **erro, erho** „(მცენარის, კბილის...) ფესვი, თმის ძირი; ამონაყარი“;

ს.-ქართვ. *ჯეც- > ქართ. მ-ჯეც-ი; სვან. ლი-ჯც-ე „დანგრევა“, ჯაც-ა „ნგრევა; დაღუბვა, სიკვდილი; ოჯახის დაქცევა“ : ბურ. (ჰ., ნ) **-qhis**, (ი.) **xés** „დახევა (ტანსაცმლის), დაგლეჯა (ადამიანისა ველური ნადირისგან)“, **u-qhis-ašo** „მტაცებელი ცხოველი“;

ს.-ქართვ. *ჯუამ- > ქართ. ჯუმილ-ვა „დარაჯობა“, სა-ჯუმილ-ავ-ი „სადარაჯო“, სა-ჯუმილ-ი „ჭურა, ბრძმედი; ალი, ცეცხლი“; ზან. (მეგრ., ლაზ.) [ქართ.] ხვამ-ა „ლოცვა“; (ლაზ.) ო-ხომ-ალ-ა „დღეობა, სალოცავი“; სვან. ლი-ჯუამ-ი, ლი-ჯუამ-ე, ლი-ჯუამ-ე „მადლობის თქმა; გადალოცვა სასმისისა“, ლა-ჯუამ, ლა-ჯუამ, ლა-ჯუამ-ი „ეკლესია“ : ბურ. (ი. — ტიფუ) **do-hómor** „ლოცვა საკვების მიღების წინ“; (ი. - ბერგერი) **do-hómar** „ქედის მოხრა; საკვების მიღებამდე „აღლაპ აკ-ბარ-ის“ თქმა“; (შდრ. უმემერული **hum-hum** „პატივის მიგება“);

ს.-ქართვ. *ჯურ- > ქართ. ჯურ-ელი „სორო, გამოქვამული, ხვრელი...“; ზან. (მეგრ.) ხუ-ალ-ა/რხუ-ალ-ა „ხვრეტა“, (ლაზ.) ო-ხ-უ „ხვრეტა“; სვან. ჯურ-უ „ხვრელი“, ლა-ჯურ-ა „სარკმელი“ : ბურ. **hur**

„გულამოდებული ხე წყლის სადინარად; საწნახელი; კარტოფილის კვალი“ და სხვ.

საერთო-ქართველურ ყრუ ველარულ სპირანტს ხ /x/ ბურთულში ყრუ ველარული სპირანტი /x/ (-VR პოზიციასა და ინლაუტში qh /x/ სპირანტს აღნიშნავს) ან ყრუ ლარინგალური სპირანტი h /h/, ხოლო ბასკურში ყრუ ლარინგალური სპირანტი h /h/ და ნულოვანი რეფლექსი შეესატყვისება.

სქ ხ /x/ : ბურ. qh, (ი.) x /x/, (აუსლაუტში) q; h /h/ : ბასკ. h /h/; 0

ს.-ქართვ. *ბეხ- > ქართ. (ქართლ., ფშ., მთიულ.) ბეხ-ი „ბეხრეკი, ძალიან დაბერებული საქონელი“; (იმერ., ლეჩხ., გურ. < მეგრ.?) ბახ-ი „უფარგისი, ძლიერ გამხდარი ცხენი“; სვან. ბეხ „1. დედალი ცხვარი; (ჩბხ., ლნტხ.) ჯიშიანი, დიდდუმიანი ცხვარი, ნერბი“; 2. (ლშხ.) ბეხ „გადაბერებული, ჯაგლაგი ცხენი“ : ბურ. behe „დედალი (საჭმელად უფარგისი ცხოველებისა)“ : ბასკ. behi, bei „ძროხა“, behor „ფაშატი, ჭაკი“;

ს.-ქართვ. *კუახ- > ქართ. კვახ-ი : ბასკ. kuia, kui, kuhuia... „კვახი“;

ს.-ქართვ. *მუხ- > ზან. (მეგრ.) მუხვ-ი „თხუნელა“; სვან. მუჰ, მუხ „თხუნელა“ : ბურ. **śon-mumúyo** „ბრმა თავგი, ერთგვარი თხუნელა“ (**śon** ობრმაჟ) (<*muhmuh-);

ს.-ქართვ. *მუხ- > ქართ. (ძვ. ქართ. — ზ. სარჯველაძე) მო-მუხვ-ა „დასუსხვა, დაჭრა“; (საბა) და-მუხვ-ა „წვრილად დახეთქა“ : ბურ. **-muqú-**, გამოიყოფა ფორმებში **nu-múqu** ან **nu-múq-in** „დაღარვა, ჭრილების, ჭდეების გაკეთება“;

ს.-ქართვ. *ტახ-//ტეხ- > ქართ. ვ-ტეხ; ზან. (მეგრ.) ტოხ-უ-ა „სატეხით ამოტეხვა“, ტოხ-ილ-ი „ამოტეხილი (სატეხით)“, ტახ-უ-ს „ტეხავს“, (ლაზ.) ო-ტახ-უ „ტეხა“; სვან. ლა-ტხ-ი „სატეხი“ : ბურ. **taq** „გატეხა, დამტვრევა, დამსხვრევა“;

ს.-ქართვ. *ხუეჟ- > ქართ. ხუეჟ-ა „წართმევა“ : ბურ. **húuṣi** „ნადავლი, ნაძარცვი“, **húuṣi -t-** „ძარცვა, ტაცევა“;

ს.-ქართვ. *ხურ- > ქართ. ხურ-ინ-ვ-ა : ბურ. **qhor**, (ი.) **xur** „ხვრინვა“ და სხვ.

გადახვევებს აღნიშნული ფორმულებიდან თითქოს პოზიციური ახსნა ეძებნება.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი ქართველურ-ბურთუმულ(-ბასკური) შეპირისპირებები (მხოლოდ ქართველურ-ბასკური, ან ბურთუმულ-ბასკური დაკავშირებები ამ მხრივ ნაკლებ ინფორმაციულია), საერთო-ქართველურ-ბურთუმულ-ბასკური (სქბბ) ენობრივი ერთიანობისათვის ყრუ უფულარულ აფრიკატსა /წ/ /q/ და ველარულ სპირანტთან /ხ/ /x/ ერთად მათი გემინირებული კორელატების — შესაბამისად, /წხ/ /q:/ და /ხხ/ /x:/ ფონემათა — აღდგენის შესაძლებლობასაც უნდა იძლეოდეს.

სქბბ */წ/ /q/ > სქ ვ /q/, სბურ. qh /h/, ბასკ. h/0

სქბბ /წხ/ /q:/ > სქ ვ /q/, სბურ. qh /q/, ბასკ. h/0

სქბბ /ხ/ /x/ > სქ ხ /x/, სბურ. h /h/, ბასკ. h/0

სქბბ /ხხ/ /x:/ > სქ ხ /x/, სბურ. x /x/, ბასკ. h/0.

მ ა ი ა კ ი კ ვ ა ძ ე

კორელაციური ფუძეები გურულში (სოფელ ჭანჭათის მეტყველების ნიმუშების მიხედვით)

სოფელ ჭანჭათს სამი რაიონი ესაზღვრება: ლანჩხუთი, ოზურგეთი და ჩოხატაური. აქ კარგადაა დაცული გურული დიალექტისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, თუმცა ბოლო პერიოდში ჭანჭათის მკვიდრი მოსახლეობაა აჭარიდან გადმოსულებიც. ამდენად, გურულის გვერდით დღემდე არსებობას განაგრძობს აჭარული დიალექტიც.

როგორც აღნიშნავენ, ისტორიული ლექსიკოლოგიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ლექსიკური ერთეულების სემანტიკურ ცვლილებათა შესწავლა. კონკრეტული მნიშვნელობის ფუძეფორმის ფონეტიკური და სემანტიკური დიფერენციაცია იწვევს კორელაციურ ცვლილებებს (ჭოხონელიძე, 2000: 4). გურულში კორელაციურმა ფუძეებ-

მა გამოიწვია ჩვენი ამ საკითხით დაინტერესება. ამჯერად მხოლოდ ჭანჭათის მკვიდრთა მეტყველებიდან კორელაციურ ფუძეებს შევეხებიო:

ჭამ // ჭუმ ფუძიანი სიტყვები:

ჭამს // მიაჭუმს; ჭამაკუთილაი (ზედმეტი ჭამისგან კუთვა);

პანტ // პენტ ფუძიანი სიტყვები:

პანტა-ტყის მსხალი, ვაშლიც; **პანტური // პენტური** — უთავ-ბოლოდ ხეტიალი;

დაპენტა — ყველაფერი თქვა; (შდრ. **პენტელა** — დაჩეჩილი მატყლის ერთი შეკვრა;

პენტილა (პინტილა) — თითისტარის დატრიალების დროს იტყვიან: **აპენტილებსო**, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა);

ჭყან // ჭყინ; ჭყაბ // ჭყიბ ფუძიანი სიტყვები:

ჭყანი — ღორის ხორცის ქონიანი წყალი; **ჭყანა** — **ჭყინა** მხალეული ბალახი; **ჭყანაის** ფხალი (ჭყანას ჭანჭათელები ურთავენ კერძს და ტყემლის საწებელსაც);

ჭყან ფუძე ჩანს ზმნაში **იჭყანება**;

ჭაჭყანი // ჭიჭყინი = ჩაჭლანი;

ჭლაკ // ჭლიკ ფუძიანი სიტყვები:

ჭლაკუნი — **მიჭლაკუნობს / ჭლაკუნ-ჭლაკუნით მიდის** = კოჭლობით მიდის;

ჭლიკი =ფეხი (ჭლიკებში ეტყობა რაცხაა სულია);

აჭლაკული — **აჭლიკული** დადასტურდა ჭანჭათელ აჭარელთა მეტყველებაში (აჭლაკული-აჭლიკული ზის, იგულისხმება უხერხულად, გამომწვევად ზის);

ჭყაბი (გურ.აჭარ.) — **ჩვილი, თოთო ბავშვი; ჭყაბი ბაღანა**;

ჭყიბვა — **გაჭყაბული**, მოსრესა- მოსრესილი (მოჭყიპული ლობიო — მწვანე ლობიო ხელით მოსრესილი ნივგზით); **მოჭყიპა** ბაღანა (ზედმეტად მოეფერა, აწვალა);

ჭყაბუნი — წყალში ჭყუმბალაობა;

ჭყიბი / ჭყინტი —ნედლი, ახალი (ჭყიბი სიმინდი, ჭყინტი ყველი).

ხინალულური ენის ადგილის განსაზღვრის პრობლემისათვის დაღესტნურ ენათა შორის

ხინალულური ენის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ორი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება: ზოგიერთი მკვლევრის (ბ. გიგინეიშვილი, გ. თოფურია, ჟ. დუმეზილი, ე. ბოკარევი, ბ. თალიბოვი, ა. კიბრიკი, ს. კოძასოვი, ფ. განიევა, მ. ქურდიანი და სხვა) აზრით, ხინალულური ენა ლეზგიურ ენათა ქვეჯგუფში შედის, ხოლო როგორც სხვა მკვლევრები (ნ. ტრუბეცკოი, რ. ლაფონი, რ. შაუმიანი, ი. დემერიევი, მ. ალექსეევი, ვ. შულცე და სხვა) მიიჩნევენ, ხინალულური ქმნის ცალკე ქვეჯგუფს დაღესტნურ (ან ნახურ-დაღესტნურ) ენათა შორის. ქართულ კავკასიოლოგიურ სკოლაში გაბატონებული იყო პირველი მოსაზრება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურად ეს საკითხი ბ. გიგინეიშვილს ჰქონდა შესწავლილი.

ბ. გიგინეიშვილის აზრით, ხინალულური საერთოლეზგიურს არჩიბულისა და უდიური ენების შემდეგ გამოეყო, ბ. თალიბოვი კი მიიჩნევს, რომ პირველად სწორედ ხინალულურის გამოყოფა მოხდა. ბ. გიგინეიშვილის მოსაზრება ძირითადად ლეზგიურ ენებში განვითარებულ *ბ > ჟ პროცესს ეფუძნება: საერთოდაღესტნურმა *ბ ბერამ ლეზგიურ ენებში (და ხინალულურშიც) ანლაუტსა და უმახვილო უკანა რიგის ხმოვნების წინ მოგვცა ჟ, თუმცა უდიურსა და არჩიბულში ეს პროცესი არ შეინიშნება.

ნაკლებად დამაჯერებელია ბ. გიგინეიშვილის მეორე არგუმენტი: მკვლევრის აზრით, საერთოლეზგიურში არჩიბულისა და უდიურის გამოყოფის შემდეგ ასევე ანლაუტსა და უმახვილო უკანა რიგის ხმოვნების წინ განვითარდა *დ > *ღ (შემდგომში *ღ > *ზ) პროცესი, რომელიც, როგორც ბ. გიგინეიშვილი მიიჩნევს, ხინალულურზეც აისახა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვარაუდი ფაქტობრივად ერთ მაგალითზეა დაფუძნებული:

ხუნძ. დუ-ნ: ანდ. დე-ნ: ახვ. დე-ნე: დიდ. დი: ხვარშ. და: დარგ. დი (ირიბი ბრ. ფუძე): ლაკ. თაუ (ირიბი ბრ. ფუძე): ლეზგ.

ზუ-ნ: თაბ. ი**ზ**უ: აღ. **ზ**უ-ნ: რუთ. **ზ**გ: წახ. **ზ**გ: ხინ. **ზ**გ: არჩ. **ზ**ონ: ულ. **ზ**უ „მე“ (თუმცა უკანასკნელი ორი ფორმა ბ. გიგინეიშვილს არაკანონზომიერად მიაჩნია — ეს ფორმები, მკვლევრის აზრით, სხვა ლეზგიურ ენათაგან უნდა იყოს ნასესხები).

ივ. ჯავახიშვილი ლეზგიურ ენათა | პირის ნაცვალსახელებს მხოლოდობითში ნახურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა ანალოგიურ ფორმებს უკავშირებს და მათ კავშირს ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ და ლაკურ-დარგულ ენათა შესაბამის ნაცვალსახელებთან უარყოფს. არნ. ჩიქობავა კი ლეზგიურ და ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა | პირის ნაცვალსახელებს ერთმანეთს უკავშირებს, თუმცა ბ. გიგინეიშვილისაგან განსხვავებით, ***ღ** > ***ძ** > ***ზ** პროცესს ვარაუდობს.

როგორც აღინიშნა, ***ღ** > ***ზ** შესაძლო პროცესს რეგულარული ხასიათი არ მოეპოვება და, ამის გარდა, წარმოდგენილ მაგალითში ჩვენთვის არც ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა **ღ** ბგერის დაკავშირება ლეზგიურ ენათა **ზ** ბგერასთან არის ცხადი.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა (ბ. გიგინეიშვილი), საერთოლეზგიურში არჩიბულისა და უდიურის გამოყოფამდე სულ სამად-სამი ფონეტიკური ცვლილება განხორციელდა: არაინტენსიური ლატერალური აფრიკატები არაინტენსიური უკანაენისმიერი ხშულ-მსკდომები მოგვცა (***ლ** > ***ქ**; ***ტ** > ***კ**), ხოლო პოსტველარული ფარინგალიზებული აბრუპტიული ხშულ-მსკდომი არაინტენსიური გლოტალიზებული უფულარული აფრიკატით შეიცვალა (***ყ** > ***ყ**). ვფიქრობთ, ხინალულური ენის ადგილის განსაზღვრისათვის დაღესტნურ ენათა შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთოდაღესტნურ ***ლ**, ***ტ** და ***ყ** ბგერების ხინალულურ შესატყვისობებს.

***ტ**-ს ხინალულურში ზოგიერთი ლეზგიური ენის მსგავსად შესატყვისება **კ**, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს კორესპონდენცია ლაკურშიც და დარგულშიც გვხვდება, მაგ.:

ხუნძ. ტერ-ენ-: ანდ. ბე-ტ¹ერა: ახვ. ბა-ტ¹არო: დარგ. ბუ-კულა-: ლაკ. კუ¹ლა-: არჩ. კალა-: ლეზგ. ყელე-ჭ: თაბ. ჭილ-ლი (< ***კ**ილ-ლი): აღ. კილე-: რუთ. ყელ-: წახ. კიჟა: ხინ. კგ¹რ „წვრილი“;

ხუნძ. ბეტერ: დარგ. ბიკ (ურახ.) || ბეკ (აჭუშ.): ლაკ. ბაკ: ლეზგ. ყილ (< *ტიყილ): წახ. ტუკულ: უდ. ბულ (< *ბუყულ): ხინ. მიკირ (< *ტიკირ) „თავი“...

აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ ამ ბგერათშესატყვისობის ფორმულაში ლეზგიური და რუთულური ყ ბგერით არის წარმოდგენილი, ხოლო უდიური — Ø (ილ. ცერცვაძე)/ყ. ხომ არ ჰქონდა საერთოდადესტნურ *ტ'-ს საერთოლეზგიურში ჯერ კიდევ უდიურის გამოყოფამდე ორმაგი რეფლექსაცია (*კ და *ყ)?

საერთოდადესტნური *ლ' ხინალულურში ქ ბგერით არის წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ *ლ' > *ქ პროცესი საერთოლეზგიურისათვისაც ნავარაუდევია (ბ. გიგინეიშვილი), სინქრონიულ დონეზე ხინალულური ენის ჩვენება ლეზგიური ენების კორესპონდენციებს უპირისპირდება და დარგულს ემთხვევა:

ხუნძ. ლ'-იზე: ანდ. ლ'-იდუ: დიდ. ლ'-ა: დარგ. ი-ქ-ის (მეშველი ზმნა): ლაკ. ხ'-უნ: ლეზგ. ხ'-უნ: თაბ. ხ'-უზ: ად. ხ'-ას: წახ. ხ'-ეს „გახდომა“, „გაკეთება“; ხინ. ქ-ირი „გახდომა“;

ხუნძ. მალ': ანდ. მულ': ახვ. მილ':უ: დიდ. მოლ':უ: დარგ. ნიქტა (ურახ.) || მიქა (კუბაჩ.): ლაკ. მიხ^{1/2}: უდ. მუხ „ფრჩხილი“...

დადესტნურ ენათა შორის შეინიშნება ერთი „ანომალიური“ ბგერათშესატყვისობა, რომელიც ბ. გიგინეიშვილს უკანაველარული ფარინგალიზებული ხშულ-მსკდომის (*ყ¹) პოსტულირების საშუალებას აძლევს:

ხუნძ. შინკა: ანდ. ჰინკაუ: ახვ. ინკოტი: ხვარშ. აყტე: ლაკ. კუ-ლუ: არჩ. ნოჟონ: ლეზგ. ყიქ: თაბ. ყულ: ად.

ნ ა ნ ა მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი

ფაუნის ხმიანობისა და სადგომის აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზურში (სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი)

ენის ლექსიკის ამა თუ იმ უბანში უკუფენილია ენობრივი ერთობის ყოფის სხვადასხვაობა, რადგან ყოფის სხვადასხვაობა განსაზღვრავს სწორედ იმ თავისებურებებს, რომლებიც სხვადასხვა ენის ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა.

ამ მხრივ საინტერესოა ფაუნის ხმიანობისა და სადგომის აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზურში.

სხვა ენების მსგავსად, აფხაზურშიც ხმიანობის აღმნიშვნელი სახელები ხმაბაძვითია. ასეთებია: აჭერჭერა „ჭიკჭიკი“, აყჟჟრა „ჟღურტული“, აღურრა „კრუტუნი“, აკარკარა „კრიახი“ და სხვ.

აფხაზურში პროდუქტიულია ასევე ხმიანობის აღწერითი წარმოებაც: აბჟჟ გოიტ „ხმას გამოსცემს“, მაგ.: აწეს აბჟჟ გოიტ „ჩიტი ხმას გამოსცემს“, ანუ „ჭიკჭიკებს“...

სადგომის აღსანიშნავად გამოიყენება ოდენფუძიანი და აფიქსაციით ნაწარმოები ლექსიკა, მაგ., აბოურა „ბოსელი“, აკუტტერთა „საქათმი“, აყგზთრა „საბატე“ და სხვ.

რ უ ს უ დ ა ნ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

„რუსულდანიანის“ ლექსიკიდან (მოლაფლება)

„რუსულდანიანში“ დასტურდება **მოლაფლება**. საანალიზო სიტყვა დასტურდება ქეგლში:

მოლაფლება (მოლაფლებისა) ძვ. სახელი **მოლაფლებს, მოლაფლდება** ზმნათა მოქმედებისა,— გულის აცრუება, ხალისის დაკარგვა; გაზარმაცება, გაზანტება (ქეგლ V, 1958).

მოლაფლებს (მოლაფლა, მოულაფლებია) ძვ. გრდმ. გულს აუცრუებს, ხალისს დაუკარგავს, — გააზარმაცებს. „თურე ბედი **მოლაფლებს** კაცსა ეგზომ არ **ლაფალსა**“ (რუსთაველი) (ქეგლ, V, 1958).

საანალიზო სიტყვა მომდინარეობს ლექსიკური ერთეულიდან **ლაფალ-ი. (ლაფლისა)** [არაბ. ლაფფალ] ძვ. 1. მოცდუნებული (საბა), — მოტყუებული. „... მე მასცა ვუძრახავ, უწინვე რასათვი ასრე **ლაფლად** დარჩა“ (საბა). 2. უხალისო. ხვალისად მეფე არაბთა კვლა პურობს, არ ლაფალია“ (რუსთაველი) (ქეგლ VII, 1962).

მოლაფლება გვხვდება საბასთანაც და უთითებს **ლაფალთან: ლაფალი** არს **ლაფლობა** კაცი დიდად გაკრძალული, ანუ თვით მოსცდეს, ანუ სხვამან მოაცთუნოს და განუკრძალველად იბოოს ZA.

დ. ჩუბინაშვილის „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ განმარტებულია **ლაფალი, მოლაფლება** და მითითებულია მისი არაბული წარმომავლობა:

მოლაფლება (არაბ) **მოვალაფლებ**, — ლე), მოვამცონარებ, უთაურ ვჰყოფ; (მოგვლაფლდები), ზ.ვდ. მოვმცონარდები, ვეფხ. 646; ვისრ. 154. **ლაფალ-ი** (არაბ) ს. უთაური კაცი, გარეწარი, წარმდები. ვეფხ. 646, 724. **ლაფლად**, ზზ. წარმდებად, გარეწრად. ვისრ.95; სიბრ.130 (დ. ჩუბინ., 1984).

„რუსუდანინის“ ტექსტს დართულ ლექსიკონში **მოლაფლება (მოლაფლდებოდითო)** შემდეგნაირადაა განმარტებული: გაუფრთხილებელი, უყურადღებო, უდარდელი, უზრუნველი გახდებოდითო; უდარდელობას გამოიჩენდითო. (**მოლაფლდი**) გაუფრთხილებელი, უყურადღებო, უდარდელი გახდი; უდარდელობა გამოიჩინე, უდარდელად მოიქეცი.

„რა ვიცოდი, რომ ახლა აგრე მოლაფლდებოდითო!“

(რუსულ. 192, 30).

„მერმე გულს აგრე უთხარ: გაფიცების ჟამია, რად აგრე მოლაფლდი-მეთქი?!“ (რუსულ. 538, 38).

ლაფალ-ი არაბული წარმომავლობის სიტყვაა, რომელიც გვხვდება საშუალო ქართულის ლიტერატურული ძეგლების ენაში,

რაც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული სიტყვა ქართულში სპარსული ენიდან ჩანს შემოსული.

სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონებში საანალიზო ლექსიკური ერთეული შემდეგნაირადაა განმარტებული: ლაფელ — 1. საქმეში ჩაუხედავი, უვიცი, უცოდინარი, უმეცარი; 2. უღარდელი, უზრუნველი, დაუდევარი, უნადვლო; 3. დაუდევარი, უგულისყურო, უყურადღებო (რუბინჩიკი, 1983); 1. უღარდელად, უზრუნველად, დაუდევრად მოქცევა; 2. უყურადღებობის, დაუდევრობის, უსულგულობის გამოჩენა; 3. საქმეში ჩაუხედავი, უვიცი, უცოდინარი. (მოინი, 1996).

„რუსუდანინის“ ტექსტს დართული ლექსიკონსა და სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონებში მოცემული განმარტებები ქართულ ენაში ამ სიტყვის მნიშვნელობათა დაზუსტების შესაძლებლობას იძლევა.

მ ა კ ა ს ა ლ ი ა

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ზოგიერთი ფორმისათვის მეგრულში

1. „ნურარაი გგლიან, **უტე**, მოკუდეს!“ — ვკითხულობთ იაკობ ხუცესის „მუშანიკის წამებაში“. ყურადღებას ვამახვილებთ **უტე** ფორმაზე. იმისათვის რომ გასაგები გახდეს საანალიზო ფრაზა და საკუთრივ **უტე** სიტყვა, მოგვყავს **ტეგ-** ძირიანი ფორმები, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულისთვისაა დამახასიათებელი: მიტეგება (მომიტეგენ...), დატოვება (მიატოვა...)... თ. ბეროზაშვილის „სასკოლო განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, **უტე** (ძვ. ქართ.) იგივეა რაც „დაეხსენ, შეეშვი, დაანებე თავი! დაე“ (თ. ბეროზაშვილი, 2007).

შეგნიშნავთ, რომ **უტე** სიტყვის სემანტიკური შესატყვისი მეგრულში არის **გუტე** (<-გოუტე). ხშირია მისი გამოყენების შემდეგი შემთხვევები:

გუტე, მუ ოკონ თინა ქიმინას! „შეეშვი, რაც უნდა ის ქნას!“;

გუტე, დანებ დუდი! „შეეშვი, თავი დაანებე!“;

გუტე, მუს გორ?!! „შეეშვი, რას დაეძებ?!“

გუტე, გუტე „შეეშვი, შეეშვი“...

2. მეგრულში ცნობილია ლაპარაკის აღმნიშვნელი **რაქვალი** „ხმამალალი ლაპარაკი, ყბედობა“. ეს ფორმა გვახსენდება, როცა ძველ ქართულ ტექსტებში ვკითხულობთ: „მე **ვარქუ** მას“, „მან **პრქუა** მე“ („შუშანიკის წამება“).

3. **„ივლტოდა** [ნერსე ერისთავი], რამეთუ სასტიკად ჰპრძოდეს მას სარკინოზთა ერი“ (იოვანე საბანისძე „აბოს წამება“). „ივლტი-ს ძვ. გარბის, გაურბის რამეს, ისწრაფის, — ილტვის“ (თ.ბეროზაშვილი. 2007). ძვ. ქართული ივლტოდა სიტყვის აღმნიშვნელია მეგრული **მინტებუდ**.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „ქართ. ვლტი-ძირს შეესატყვისება მეგრ. რტ- //ნტ- : რტება // ნტება, ლაზ. მტ- // ტ-: ო-მტ-ინ-უ „გაქცევა“ სვან. ტუ-: ლი-ტუ „ქცევა“ (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე).

4. „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე **ხვიმირსა**, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან...“. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, **„ხვიმირი** — მარცვლეულის საწყაო ჭურჭელი, მწისქვილის სახვარბლ“ (საბა). მეგრულში დადასტურებული **ხვიმური, ხვიმრა** აღნიშნავს როგორც მარცვლეულის საწყაოს, ისე თავის სოროს. **ჭუკი ხვიმურას ვენტირედუა დო კუდეღუა კოტუნეს მიკიკი-რანდუა** „თავი ხვიმირში ვერ ეტეოდა და კუდეზე ქოთნებს იბამდაო“ („ხალხური სიბრძნე“, შემდგ. რ. შეროზია, ო. მემიშიში, 1994); **ჭუკი ხვიმრას ვენტირედუა დო ტუტლა ეკაბუდუა** „თავი ხვიმირში ვერ ეტეოდაო და ჭურა (აყირო) მოიკიდაო“, „თავი ხვიმირში ვერ ეტეოდა და გოგრის ჩატანა მოინდომაო“ (იქვე). ზეპირმეტყველებაში დასტურდება შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: **ხვიმრას მულარე** ზედმიწ. „ხვიმრაში ცხოვრობს“, **მუშ ხვიმრას მიკაჯინას** ზედმიწ. „თავის ხვიმრას მიხედოს“, **იშო გენთუურს ხვიმრაშა** ზედმიწ. „ხვიმ-

რაში შექცევა“. მთქმელთა ახსნით, აღნიშნულ მასალაში (მეგრ.)
ხვიპრა სოროს მნიშვნელობითაა გამოყენებული.

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

ღერძული სიტყვის სემის ექსპლიკაციისათვის სვანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში (სომატიზმებში)

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა (ფე-ის) შესწავლას, როგორც ცნობილია, საუკუნეთა სიღრმიდან მომავალი უძველესი ტრადიციები აქვ. XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ფრაზეოლოგიის სფეროში უამრავი ნაშრომი შეიქმნა. საკამათოდ იყო მიჩნეული ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან დაკავშირებული არაერთი საკითხი, მათ შორის ისიც, თუ დიქტომიის რომელ მხარეს განიხილება ან მოიაზრება ენის ფრაზეოლოგიური საგანძური, ენობრივი სისტემისა (**Langue**-ს) თუ მეტყველების (**Parole**-ს) დონეზე?

გარდა ამისა, წინააღმდეგობრივი იყო მოსაზრებები ფრაზეოლოგიური ერთეულების (ფე-ის) ენაში დამკვიდრებასა და კლასიფიკაციასთან დაკავშირებითაც.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ფრაზეოლოგიური ერთეულების (ფე-ს) საბოლოო კლასიფიკაცია უდავოდ გაძნელებოდა, მეცნიერებს სტრუქტურული მახასიათებლები რომ არ მიეღოთ მხედველობაში. თუმცა ფრაზეოლოგიური ლექსიკონების შედგენისას ლექსიკოგრაფები მაინც მრავალ სირთულეს აწყდებოდნენ, ვინაიდან არ იცოდნენ, სად განელაგებინათ ის ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც შესიტყვების გადანაცვლება ფრაზეოლოგიურ დონეზე მისი სრული მეტაფორიზაციის შედეგია და შინაფორმა (მოტივაცია) სინქრონიულ ჭრილში სრულიად წაშლილია.

ცხადია, ამ პრობლემამ განაპირობა ფრაზეოლოგიაში „ღერძული“, ანუ „ბირთვული“ სიტყვის გამოყოფის პრობლემა. სწორედ ამ „ღერძული“ სიტყვის მიხედვით ხდება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ე.წ. ფრაზეოლოგიურ ბუდეებად გაერთიანება.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი სხვადასხვა მოსაზრების საფუძველზე ნ. ჯანელიძე გამოყოფს ფრაზეოლოგიური ფონდის ორ სუბსკლასს:

1. ფრაზეოლოგიზმები კონვექსიური ღერძული სიტყვით, სადაც მნიშვნელობის აღქმა გაშუალებულია ღერძული სიტყვით და ეს უკანასკნელი განიხილება როგორც სახელი, რომლის მიხედვითაც ერთიანდება ფრაზეოლოგიური ერთეულების გარკვეული ჯგუფები;

2. ფრაზეოლოგიზმები ღერძული სიტყვის გარეშე (ანუ გაბუნდოვანებული ან სრულიად წაშლილი შინაფორმით), სადაც ნომინალური დატვირთვა თანაბრად არის განაწილებული თითოეულ კომპონენტზე და რომლებიც ენის სინქრონიულ ჭრილში აღიქმებიან ტრანსფორმირებულ სინტაქსურ მოდელებად.

თვალუწვდენელ ფრაზეოლოგიურ მაკროსისტემაში კი ურიცხვ მიკროსისტემებს (ანუ ფრაზეოლოგიურ ბუდეებს) გამოყოფენ:

1. **სომატიზმები** (აღამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სიტყვებით)

2. **ზოოსემიზმები** (ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვებით)

3. **ასტრონომიზმები** (ციურ სხეულთა აღმნიშვნელი სიტყვებით)

4. **ფრაზეოლოგიზმები ფერის აღმნიშვნელი სახელით**

5. **მოძრაობისა და გადაადგილების** და ა. შ.

ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანია ზემოაღნიშნული მიკროსისტემებიდან კომუნიკაციის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი ერთ-ერთი არავერბალური საშუალების — **სომატიზმების** განხილვა სვანურ ენაში.

სომატური ლექსიკისადმი ინტერესი, როგორც ენობრივი უნივერსალიისადმი, დღითიდღე უფრო ღრმავდება, რაც შემთხვევითი ნამდვილად არ არის, რადგან სომატური ლექსიკა ყოველი ენის ლექსიკური სისტემის უძველეს ფენას მიეკუთვნება. მათ ბაზაზე კი ხშირია ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოქმნის შემთხვევები. ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისს არც სვანური ენა წარმოადგენს, სადაც საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანია სომატური იდიომები.

სომატურ იდიომებს შორის განსაკუთრებით მდიდრადაა მიჩნეული ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც წარმოდგენილია გრძნობის ორგანოების დასახელება, რომელთა მეშვეობითაც აღამიანი აღიქვამს

გარესამყაროს, შეიმეცნებს საკუთარ მეს და საკუთარ თავს ამ სამყაროში. სწორედ ამ კომპონენტების (**თავი, თვალი, ცხვირი, ხელი, გული, ყური, ენა**) შემცველი ფრაზეოლოგიზმები შეადგენენ სომატური იდიომების 70 %-ს.

ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართულ ენაში განსაკუთრებული სიხშირით გამოიყენება სომატიზმი — გული, რომელსაც ფრაზეოლოგიური აქტივობის მიხედვით მოჰყვება შემდეგი სომატიზმები: **თავი, თვალი, ხელი, პირი, ფეხი, ყური**.

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ სვანურ ენაში, რომელიც ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა მრავალფეროვნებითა და არქაულობით გამოირჩევა?

თვალუწვდენელ ფრაზეოლოგიურ მაკროსისტემაში, რომელიც ურიცხვ მიკროსისტემებს (ანუ ფრაზეოლოგიურ ბუდეებს) შეიცავს, ამჯერად გამოვყოფთ **სომატიზმებს** (ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელ სიტყვებს). ცხადია, სვანურ სომატურ ლექსიკაშიც შეიძლება, ნომინაციის ობიექტის მიხედვით, სხვადასხვა ჯგუფების გამოყოფა.

ფექტობთ, აღნიშნული ლექსიკის შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც, როგორც რუსი მეცნიერი ი. ნ. კარაულოვი აღნიშნავს, ენას ვერ გავიგებთ, თუ არ გავცდებით მის ფარგლებს, თუ არ მივმართავთ მის შემოქმედებს, მატარებელსა და მომხმარებლებს — ადამიანებს, კონკრეტულ ენობრივ პიროვნებას, უფრო მეტიც, ადამიანისადმი მიმართვა ვერ იქნება ნაყოფიერი იმ ლექსიკის ანალიზისა და გაგების გარეშე, რომელიც უკავშირდება საკუთრივ მის შეცნობას, პირველ რიგში, სომატური ლექსიკის ანალიზის გარეშე, რომელიც განახორციელებს მისი აგებულების სახელდებას, ანუ მისი სხეულის ნაწილების სახელწოდებათა ჯგუფის გარეშე.

ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანი, როგორც უკვე ითქვა, სწორედ სომატური იდიომების თავმოყრა და შესწავლაა სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მონაცემებზე დაყრდნობით.

ბუნებრივია, ნაშრომში გაშუქებული იქნება ზოგიერთი ისეთი სემანტიკური პრობლემაც, როგორცაა, მაგალითად, სიტყვის ერთ-ერთი სემის აქტუალიზაცია ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.

როსტომ ფარეულიძე

ზმნისართთა ერთი სახეობის შესახებ ჩეჩნურში

1. მარტივი პირველადი ზმნისართების გვერდით ჩეჩნურში გამოიყოფა ისეთი ორფუძიანი ზმნისართებიც, როგორებიცაა:

თახანა-ჴანა „დღეს-ხვალ“, ციგა-ჴუზა „იქ-აქ“, დმჴჰა-სდჴჰა „გაღმა-გამოდმა“... (ნ. იაკოვლევი, კ. ჩოქაევი, ა. ხალილოვი...).

2. ორფუძიან ზმნისართულ კომპოზიტთა ერთი ნაწილის მეორე ფუძეა **-აღლა**, რომელიც **აღლა** „თქმა“ ზმნის ნამყოს აბსოლუტივს წარმოადგენს და ნიშნავს „თქვა რა“, პირველი ფუძის სემანტიკა კი უმეტეს შემთხვევაში დაჩრდილულია ან ხმაბაძვითი სიტყვებია:

თაფ-აღლა „უცბად“ (მაგ., გაჩერდა)

ტარშ-აღლა „ტკაცვანით“ (მაგ., გასკდა)

ჴარხ-აღლა „ლამაზად, კოხტად“ (მაგ., დაასუფთავა) და მისთ.

მეორე ფუძეში წარმოდგენილი აბსოლუტივის მიუხედავად, კომპოზიტის შინაარსიდან გამომდინარე ასეთი სიტყვები ვითარებითი ზმნისართებია.

3. ნაშრომში მოცემულია განსახილველი კომპოზიტების პირველ ფუძეში წარმოდგენილი ზოგი სიტყვის სემანტიკის ახსნის ცდა. მაგ., შდრ.:

ტაფ-აღლა „უჴვალოდ“ (მაგ., გაქრა, დაიკარგა). **ტაფ** სიტყვა ჩეჩნურ-ინგუშურმა არ იცის, მაგრამ მას წოვათუშურში აქვს „ელვის“ მნიშვნელობა. მაშასადამე, **ტაფ-აღლა** ნიშნავს „ელვასავით“ („ელვა“ ჩეჩნურად — **ტყემს**).

წაფ-აღლა „მჭიდროდ“ (მაგ., მიეკრო), შეადარეთ ქართული მი-ე-**წებ**-ა.

ცხაფ-აღლა „სხაპანით“ (მაგ., გაჭრა), შეადარეთ ქართული „სხაპანი“...

ამ რიგის ფუძეები ჩეჩნურში დესემანტიზებულია და მონათესავე ენათა სათანადო მასალასთან შედარება ზოგი მათგანის ახსნის საშალებას იძლევა.

ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა

ფონემათა დისტრიბუცია CV და CVCV სტრუქტურის აბაზურ ზმნურ ძირებში

ნებისმიერი ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის საკითხების სრულყოფილად შესასწავლად აუცილებელია გაკეთდეს ფონემათა დისტრიბუციული ანალიზი, დადგინდეს მათი სინტაგმატური და პარადიგმატური მიმართებანი.

მოხსენებაში წარმოვადგენთ აბაზურ CV და CVCV სტრუქტურის ზმნური ძირების ფონემათა დისტრიბუციულ ანალიზს. მასალა მოპოვებულია ვ. ბ. ტუგოვას „აბაზურ-რუსული ლექსიკონიდან“.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ აფხაზურ-აბაზური ენები მდიდარია სიტყვაწარმოებითი და ფორმაწარმოებითი კატეგორიებით. ამ ენებში რეალიზებული ზმნური ძირები, აღნიშნულ კატეგორიათა აფიქსებით გაფორმებულნი, მონაწილეობას იღებენ ათეულებით ზმნური ფუძის აგებაში.

CV მოდელის 50 ძირი გამოვლინდა. საალაზო სტრუქტურის თავიდან პოზიციაში რეალიზებულია ყველა რიგის თანხმოვანი, გარდა ლაბიო-დენტალური ფრიკატივებისა (ვ, ფ). სხვა რიგების ფონემათა დისტრიბუციის თვალსაზრისითაც შეინიშნება გარკვეული შეზღუდვები: მოძიებულ მასალაში ვერ გამოვავლინეთ ინტენსიური ჯჷ და ჩჷ ფონემები, ასევე პალატალიზებული ჯ, ქ, ჯ, ლაბიალიზებული კჷ. ქ მხოლოდ ნასახელარ ზმნურ ძირში გვაქვს: მჷ-ქჷ-რა „წვიმის მოსვლა“ (მდრ. აბაზ. ქჷა „წვიმა“). გაანალიზებულ მასალაში ვერ დავადასტურეთ სადა ყ ფონემის დისტრიბუციის შემთხვევაც, თ კი წარმოდგენილია მხოლოდ ძირ-წინდებულის სახით (თჷა-ზლა-რა „რადაცაში ყოფნა“).

დისტრიბუციული შეზღუდვა ეხება ზოგ ფრიკატივსაც: CV სტრუქტურის ანლატში არ რეალიზდება ინტენსიური ჟჷ, არც პალატალიზებული და ლაბიალიზებული დორსალურ-ველარული ფონე-

მები (**ლ**, **ლ**). სონორებიდან და სონანტებიდან საანალიზო სტრუქტურის თავიკიდურ პოზიციაში ვერ დავადასტურეთ **რ**, **ნ**, **ლ**, ვერც **ი**.

CV სტრუქტურაში ხმოვანთა დისტრიბუცია ასეთია: დომინანტი, სხვა სტრუქტურების მსგავსად, **ა** ხმოვანია — რეალიზებულია 41 ძირში (მა-**ბა**-რა 1. „ნახვა“; 2. „მიჩვევა“; **გა**-რ 1. „ტარება, წაღება“; 2. გადატ. „გავრცელება“), 7 ძირში დადასტურდა **გ** (ა-ნ-**ჭგ**-ლ-რა „წასმა რაღაცის, ჩაწერა“), **უ** ერთადერთ ნასახელარ ძირში გვხვდება (**დუ**-ხა-რა „გაზრდა“), ერთ ძირში არის წარმოდგენილი **ი** ხმოვანიც (**ში**-რა „დაწყევლა“), **ო** საერთოდ არაა რეალიზებული.

აბაზურში **CVCV** ტიპის ძირებიც საკმაოდ გავრცელებულია. მათი გარკვეული ნაწილი (15 ძირი) მიღებული ჩანს **CV** სტრუქტურის გაორმაგების შედეგად (მა -**ბაბა**-ხა-რა „გაბურძენა, გაწეწვა (ბეწვის, თმის“). უმეტეს შემთხვევაში ენაში ასეთი რედუბლიცირებული ძირების ამოსავალი სახეობა არ არის შემორჩენილი (გვაქვს **ჯაჯა**-რ „ბრუნვა, ტრიალი“, მაგრამ არ დასტურდება **ჯა**-რ);

CVCV ტიპის ძირთა გარკვეული ნაწილი აბაზურში სესხების შედეგად არის დამკვიდრებული: **ჯამა**-და-ზლა-რა „საჭმლის უგემურობა“ (შდრ. ქართ. გემო), ნაწილი კი ნასახელარია — **ჟაპა**-რა „ღეჭვა“ (შდრ. **ჟაპა** „საღეჭი რეზინი“).

მოხსენებაში **CV** და **CVCV** სტრუქტურის აბაზურ ზმნურ ძირებში ფონემათა დისტრიბუციის გაანალიზებისას მოხმობილი იქნება სათანადო ტიპის აფხაზური ზმნური ძირების მონაცემები.

ლი ა ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე

ასოსტიქიონისა და ფონემის ცნებათა მიმართებისათვის

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ასოსტიქიონი შევუსატყვისეთ ბერძნულ ტერმინს $\sigma\tau\omicron\lambda\chi\epsilon\iota\omicron\nu$ -ს, როგორც გრამატიკული ცნების გამომხატველს. $\sigma\tau\omicron\lambda\chi\epsilon\iota\omicron\nu$ -ი, უპირველესად, ფილოსოფიური ტერმინია და მის ქართულად გადმოცემას თავისი ტრადიცია აქვს. არსებობს მრავალი ტერმინი: ასო, კავშირი, ნივთი, წესი, აგებულება...

(თ. ცქიტიშვილი, დ. მელიქიშვილი). როგორც გრამატიკული ცნებას მას ძველად, ძირითადად, შეესატყვისება ასო, რომელიც დღეს ბგერის დაწერილ ნიშანს, გრაფემას, გამოხატავს. $\sigma\tau\omicron\chi\epsilon\iota\upsilon\sigma$ -ი, როგორც გრამატიკული ცნება, შესწავლილი აქვს ნ. მახარაძეს. დიონისე თრაკიელის გრამატიკის რედაქტირებამ და სქოლიოების თარგმანზე მუშაობამ ისევ მიგვაბრუნა ამ საკითხის კვლევისკენ. „გრამატიკის ხელოვნების“ რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ თარგმანებში ტერმინ $\sigma\tau\omicron\chi\epsilon\iota\upsilon\sigma$ -ს ასონიშანი შეესატყვისება, რაც არ მიგვაჩნია მართებულად. ამ ტერმინით აღნიშნულ ცნებას ვერც ბგერას შევუსატყვისებთ და ვერც — ასონიშანს. ეს ნათლად ჩანს ბერძნულ წყაროებში:

ფილოსოფიური ცნება $\sigma\tau\omicron\chi\epsilon\iota\upsilon\sigma$ -ი, რომელიც სამყაროს პირველსაწყისად ოთხ სტიქიას გულისხმობს, ძველ ბერძნულ გრამატიკულ აზროვნებაში, როგორც გრამატიკული ცნება, ასეა დახასიათებული:

1. „ამბობენ, რომ ასოსტიქიონებს ასე ეწოდებათ ოთხი სტიქიის — ცეცხლის, წყლის, ჰაერის და მიწის — მიმსგავსებით. როგორც ამ ოთხი სტიქიისაგან შედგება ყველაფერი სამყაროში, ასევე ოცდაოთხი ასოსტიქიონისაგან შედგება ყველა სიტყვა, ყველა თხზულება და ყველა წიგნი“ (Scholia, გვ.36).¹

2. „რა არის ასოსტიქიონი? წარმოთქმა ($\acute{\epsilon}\kappa\phi\alpha\upsilon\sigma\tau\epsilon\varsigma$); „აღამიანის პირველი და განუყოფელი ხმა“ (Scholia, გვ.143).

3. „ასოსტიქიონები იმიტომ ეწოდებათ, რომ მათ აქვთ წყობა. წყობით დაწერილები ასოსტიქიონები არიან, წყობის გარეშე — ასონიშნები. მაგალითად, $\pi\alpha\omicron\varsigma$ წყობითაა დაწერილი და ამიტომ მათ (იგულისხმება ამ სიტყვის შემადგენელი ოთხივე ასო-ბგერა, ლ.ქ.) ასოსტიქიონები ეწოდება, რადგან ქმნიან სიტყვას, მაგრამ, თუ გადავანაცვლებთ და დავწერთ $\rho\alpha\omicron\varsigma$, ისინი ასონიშნები იქნებიან და არა — ასოსტიქიონები, რადგან წყობის გარეშე არიან“ (Scholia, გვ. 260).

¹ თარგმნისას ვიყენებთ დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნების“ კომენტარების ჰილგარდისეულ გამოცემას: Scholia Dyonysii Thracis Artem Grammaticam, Graeci, VI, Pars. III, Ed. Hilgard, Lipsiae, 1901.

4. „ასოსტიქიონს ოთხი მდევარი (კატეგორია) აქვს: გამოსახულება, მაგალითად, სამკუთხა ფორმა ან ნახევრადწრიული ან მრგვალი; სახელი, მაგალითად, ალფა, ბეტა და სხვა: ძალა, მაგალითად, გრძელი, მოკლე, მკვეთრი, ფშვინვიერი, ხმოვანი, თანხმოვანი და სხვ. წყობა, მაგალითად, ხმოვნებისა და თანხმოვნების წინმდგომი და უკანმდგომი“ (Scholia, გვ.60).

5. „გამოსახულება ოცდაოთხია, გამოთქმა — გაცილებით მეტი, მაგალითად, ალფას ათი განსხვავებული წარმოთქმა აქვს:

ალფა — გრძელი, ფშვინვიანი, მკვეთრმახვილიანი;

ალფა — გრძელი, ფშვინვიანი, ბლაგვმახვილიანი;

ალფა — გრძელი, ფშვინვიანი, შემოსილმახვილიანი;

ალფა — გრძელი, უფშვინვო, მკვეთრმახვილიანი;

ალფა — გრძელი, უფშვინვო, ბლაგვმახვილიანი;

ალფა — გრძელი, უფშვინვო, შემოსილმახვილიანი;

ალფა — მოკლე, ფშვინვიანი, მკვეთრმახვილიანი;

ალფა — მოკლე, ფშვინვიანი, ბლაგვმახვილიანი;

ალფა — მოკლე, უფშვინვო, მკვეთრმახვილიანი;

ალფა — მოკლე, უფშვინვო, ბლაგვმახვილიანი“ (Scholia, გვ.143)

ამ განსაზღვრებების მიხედვით, ΣΤΟΥΧΕΙΩΝ-ს ვერც ასონიშანს ვუწოდებთ, რადგან ის **წარმოთქმაა** და — ვერც ბგერას, რადგან ბგერა ეწოდება ნებისმიერ ბგერას სიტყვაშიც და ცალკე აღებული-საც. ასოსტიქიონი კი, როგორც ვხედავთ, **მხოლოდ მნიშვნელობის მქონე სიტყვაში მოცემული ერთეულებია.**

ბერძნული გრამატიკული აზროვნების მიხედვით, ასოსტიქიონისა და ფონემის ურთიერთმიმართების საკითხი, ცხადია, აშკარაა. შესაბამისად, ვფიქრობთ, გადასახედია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ანტიკურ მეცნიერებას, რომლიდანაც იღებს საწყისებს ევროპული ფონეტიკა, თანამედროვე ფონემის გაგებასთან რამდენადმე მიახლოებული ცნება, გარდა მრავლისმომცველი „ასოსი“ (γράμμα) არ ჰქონია. რა თქმა უნდა, ისეთი სრულყოფილი ფონეტიკური ანბანის შექმნა, როგორც ფინიკიური ანბანის ნიადაგზე შექმნეს ძველმა ბერძნებმა, უკვე გულისხმობს ინტუიციურ ფონემურ ანალიზს, მაგრამ ინტუიციუ-

რი პრაქტიკიდან ფონემის თეორიამდე დიდი მანძილია და ასეთი თეორია ბერძნებს არ შეუქმნიათ“ (ბ. ქობალავა).

მაშასადამე, ბერძნული წყაროების მიხედვით, ასოსტიქიონი არც ბგერაა, არც — ასონიშანი, რამაც გვაფიქრებინა ბერძნული გრამატიკული ტერმინისთვის ახალი ქართული შესატყვისის შექმნა. ასოსტიქიონით აღვნიშნავთ ტერმინ $\sigma\tau\omicron\lambda\chi\epsilon\iota\omicron\nu$ -ს, როგორც ძველ ბერძნულ გრამატიკულ ცნებას, რომელიც, გარკვეულწილად, ნამდვილად უახლოვდება ფონემის გაგებას.

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

***სტ-ოვ მორფემის შემცველი კიდევ ერთი ლექსემა (მსტოვარ-ის და სტუმარ-ის მიმართებისათვის)**

I. კორნელი დანელია (იხ.: „ძველი ქართული ლექსიკიდან: 5. მსტოვარი და მასთან დაკავშირებული ფუძეები“, ეტიმოლოგიური ძიებანი, 1988, „მეცნიერება“, თბ., გვ. 18-29) მ-არ კონფიქსით წარმოებულ მსტოვარ-ში აღადგენს მ-ძოვ-არ, მ-წოვ-არ ტიპის ~ოვ მაზმნავებელსუფიქსიან მორფემას *სტ-ოვ (<*სტ- <*სთ- <*თ- „თვალი“) არქისემანტიკით „ხედვა, მზერა“, შდრ.: „და მიმოდაისტუან-ვიდა იესუ, რადთამცა იხილა, რომელმან ესე ყო“ — აღიშის ოთხთავში და წმიდა გიორგი მთაწმიდელისეული: „და მიმოხედვიდა იესუ, რადთამცა იხილა, რომელმან ესე ყო“ (მარკოზი 5, 32).

უთითებენ საერთოქართველური სტ- კომპლექსის განვითარებაზე ზანურსა და სვანურში, კერძოდ:

ერთი მხრივ, ქართ.-ზან. თ- (>*სთ- >*სტ-) და სვან. შდ-: ქართ. თუ-ალ-ი, ზან. თ-ოლ-ი „თვალი“, სვან. შდულუ „თვალი“ (კორნელი დანელია), შდრ.; ძვ. ქართ. მ-სტო(ვ)-არ-ი, მ-სტუ(ვ)-არ-ი „მოთვალთვალე“, მსტოვრობა, მსტურობა, განმსტრობა, განმსტუ(ვ)რობა „თვალთვალი“;

მეორე მხრივ, ქართ. **სტ-** და სვან. **შდ-(<სდ--<სტ-)**, შდრ.: სვან. (ზს., ლშხ.) **შდარუ-**, „დაბრალება“, რომელიც სემანტიკურად ახლოსაა მნიშვნელობასთან „დაბეზღება“ (მერაბ ჩუხუა), შდრ.: ძვ. ქართ. **მსტო(ვ)არი, მსტუ(ვ)არი** „ჯამუში“, **მსტოვრობა, მსტურობა, განმსტრობა, განმსტუ(ვ)რობა** „ჯამუშობა“.

II. *სტ-ოვ მორფემის შემცველი ძველი ქართული ლექსიკური მარაგი **პოლისემიურობით** გამოირჩევა და, **სემანტიკური დავიწროების კვალდაკვალ**, შეიცავს ხუთ მაგისტრალურ სემანტიკურ მიმართულებას:

1) „ხედვა, მზერა, ყურება; იქით-აქეთ ყურება; თვალიერება, მიმოხედვა, მაყურებელი; **2)** თვალყურის მდევნელი, მცველი, დარაჯი; ზედამხედველი“; **3)** „თვალთვალი, ზვერვა, დაზვერვა, ჯამუშობა; მოთვალთვალე, მზვერავი, ჯამუში; **4)** „სათვალთვალო, საფარი, ჩასასაფრებელი“; **5)** „მისანი, მარჩიელი, მარჩილობა“.

III. წარმოდენილი მაგისტრალური მიმართულებები, თითოეულის **სემანტიკური მოტივისა და მიზანდასახულობის გათვალისწინებით**, შედეგნაირად გადანაწილდება:

1) „ხედვა-მზერის და თვალიერების“ ამოსავალი სემანტიკური მოტივითა და მისი **ნეიტრალური** (განუსაზღვრელი) მიზანდასახულობით ერთიანდება:

სტუანვა, დასტუანვა „მზერა, ყურება“, **მიმომსტო(ვ)რობა** „ხედვა, მზერა“, **მსტოვ-არი, მსტუარი** „მაყურებელი“; **მოსტუანვა** „თვალიერება“, **მიმოდასტუანვა** „მიმოხედვა“, **მიმო(მ)სტრობა** „იქით-აქეთ ყურება“;

2) „თვალყურის დევნების, თვალთვალისა და დაზვერვა-ჯამუშობის“ მეორეული სემანტიკური მოტივითა და მისი **კონკრეტული** (განსაზღვრელი) მიზანდასახულობით ერთიანდება:

სტუანვა, დასტუანვა „ზვერვა“; **მოსტუანვა, მიმო(მ)სტრობა** „დაზვერვა“, **მსტოვრობა, მსტურობა, განმსტრობა, განმსტუ(ვ)რობა** „თვალთვალი; ჯამუშობა, დაზვერვა“, **მსტო(ვ)არი, მსტუ(ვ)არი** „მოთვალთვალე, მზვერავი, ჯამუში“, **განმსტრობა-ი** „მზვერავი“; **მსტოვარი, მსტუარი** „მცველი, დარაჯი“, **ზედა-მსტოვარი, ზედა(ა)-მსტუარი** „ზედამხედველი, თვალყურის მდევნელი“, **სამსტოვრო, სა-**

მსტორო, სამსტურო, სამსტუ-რობელი, სამსტრო „სათვალთვალო; საფარი, ჩასასაფრებელი“ (მდრ.: ძვ. ქართ. **სამზირი, სამზირო** „საზვერაგი; საფარი; სადევნელი“, **სადარნე, სადარანო, სადარნო** „საზვერაგი; ჩასასაფრებელი; მახე“); **ტყირბის-მსტურობა** და **ღუძღლის-მსტურობა** „ტყირბით, ღვიძლით მარჩიელობა“, **ნიშის-მსტოვარი** „მისანი, მარჩიელი“ (მდრ.: ძვ. ქართ. **ნიშთ-მჭუტრეტელი** „მისანი, მარჩიელი“);

IV. ვფიქრობთ, *სტ-ოვ მორფემის შემცველი ლექსიკური მარაგის კუთვნილებაა ასევე პოლისემანტიკური **სტუმ-არ-ი (< *სტუვ-არ < *მ-სტუვ-არ < *მ-სტოვ-არ)**.

ქართ. **სტუმარ-ი**, თავისი **სემანტიკური მოტივით** „**არაშინაუარი, სანახავად მოსული გარედან**“, სწორედ **მეორეული სემანტიკური მოტივით** ნიშანდებული ლექსიკური ერთეულების რიგში დგება: მსგავსად **მ-სტლ(ვ)-არ-ი / მ-სტლ(ვ)-არ-ისა** „მზვერაგი, ჯაშუში“, **სტუმარ-ი**ც გარედან მოსულია, უცხოა, არაშინაურია, მდრ.:

ერთი მხრივ, **სტუმარ-ი** „სტუმარი; წვეული; უცხლ“ (ილია აბულაძე, ზურაბ სარჯველაძე); „კაცი მიწვეული ნადიმად ან მოსული სანახავად, გინა უცხოს მხრისა“ (დავით ჩუბინაშვილი); „ვინმესთან შინაურ ვითარებაში (ოჯახში) მოსული ან საგანგებოდ მოწვეული, დაპატიჟებული პირი; კრებაზე, სხდომაზე, შეხვედრაზე... დასასწრებად მოწვეული უცხო პირი“ (ქეგლ-ი);

მეორე მხრივ, პოლისემანტიკური **უცხო** „გარეშე, სხვა; გაგდებული; (სტუმარი, გარეული)“ (ილია აბულაძე); „სხვა(ს) ქუეყ(ა)ნისა“ (სულხან-საბა); „სხვა ქვეყნისა, შორით მოსული“ (დავით ჩუბინაშვილი); „არამშობლიური; გარეშე, ზედმეტი, მიუღებელი“ (ქეგლ-ი).

თუმცა **სტუმარი**, თავისი განსხვავებული, **პოზიტიური მიზანდასახულობით**, ემიჯნება **მ-სტლ(ვ)-არ- / მ-სტლ(ვ)-არ-ს**, რადგან პირველი — გარედან მოსულია არა ბოროტი განზრახვით, არამედ მოსანახულებლად (მდრ.: ძვ. ქართ. **მსტოვარი, მსტუარი** „მაყურებელი“; **ნიშის-მსტოვარი** და **ნიშთ-მჭუტრეტელი** „მისანი, მარჩიელი“), იგი სასურველი წვეულია („სტუმარი ღვთისაა“!), ხოლო მეორეს — ასევე გარედან მოსულს, უცხოს, არაკეთილსაიმედო განზრახვა ამოძრავებს და ჩასაფრებით უთვალთვალეებს ყოველივეს.

აქედან გამომდინარე, ***სტ-ოვ** მორფემის შემცველი ლექსიკური მარაგის წარმოდგენილ სემანტიკურ მაგისტრალურ მიმართულებებს ემატება კიდევ ერთი — მეექვსე სემანტიკური მიმართულება (იხ. ზემოთ, პუნქტი II.):

6) „გარედან მოსანახულებლად მოსული ან მოწვეული.

შესაბამისად უნდა შეივსოს მაგისტრალური მიმართულებების გადანაწილებაც **სემანტიკური მოტივითა და მიზანდასახულობით** (იხ. ზემოთ, პუნქტი III.):

3) მეორეული სემანტიკური მოტივითა და მისი **კონკრეტული პოზიტიური მიზანდასახულობით** ცალკე წარმოდგება ქართ. **სტუ-მარ-**ი „სტუმარი; მოწვეული; სანახავად მოსული ან დაპატიჟებული პირი; რაიმე შეხვედრაზე დასასწრებად მოწვეული უცხო პირი“.

ვაჟა შენგელია

მოსაზრება ქართული ქალ-ი სიტყვის ქართველური შესატყვისის შესახებ

ქართული **ქალ-**ი („მდებრობითი სქესის ადამიანი; ასული; დიალ. ცოლი“) სამეცნიერო ლიტერატურაში დაკავშირებულია სხვადასხვა ენის სათანდო მასალასთან (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი; ი. ზიცარი,

რ. გორდეზიანი, კ. დანელია...), მაგრამ შესატყვისი ფუძე სხვა ქართველურ ენებში არ არის მოძიებული.

ქართული **ქალ-**ის შესატყვისად მეგრულ-ლაზურში მოსალოდნელი იყო **ქორ-** გვქონოდა, მაგრამ არ დასტურდება. ყურადღებას იქცევს მეგრული **ცორ-**ი||**კორ-**ი „ნეზვი (დედალი ღორი)“, რომელიც შეიძლება **ქალ-** ფუძეს უკავშირდებოდეს: ***ქორ-**ის გადასვლა **კორ-**ში შეიძლება მომხდარიყო მეგრულ-ლაზური სიტყვის **კერ-**ი „კერატი, ტახი“ ანალოგიით. რაც შეეხება **ცორ-**ს, მისი არსებობა შეიძლება აიხსნას მეგრულში გავრცელებული **კ-ც-** მონაცვლეობით (მდრ. მაგ.,

მეგრ. **კუმინი|სუმინი** „კრუსუნი, კრუტუნი, კმინვა“, **ყვარია|ცვარია|კვარია** „ყვაგი“, **ყაზანი|ცაზანი|კაზანი** „ვაჟკაცი; გლეხი“...).

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

ენის ინტეგრალური აღწერისა და ლექსიკოგრაფიული ინფორმაციის ურთიერთმიმართებისათვის

ენის ინტეგრალურ აღწერას ლექსიკოგრაფიულ დონეზე ყველაზე უფრო სრულყოფილი სახით ლინგვისტური (resp. ფილოლოგიური) განმარტებითი ლექსიკონები წარმოგვიდგენს. ცნობილია, რომ ამგვარი ლექსიკონები კომპლექსურია, რაც განაპირობებს კიდევ მათ ერთგვარ ენციკლოპედიზმს. ლინგვისტური განმარტებითი ლექსიკონები აღწერენ სიტყვებს სიტყვათა მეშვეობით იმავე სიტყვების შესამეცნებლად, რის საფუძველზეც განასხვავებენ ლექსიკოგრაფიული ინფორმაციის ორ ტიპს: I. ლინგვისტურსა და II. ექსტრალინგვისტურს.

I. ლინგვისტური ინფორმაცია, ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით, ორი სახისაა: კლასიფიკაციური და ოპერაციული. კლასიფიკაციურია ინფორმაცია ლექსემის რელევანტურ თვისებებზე (მაგ., ინფორმაცია მეტყველების ნაწილებზე, მართვის მოდელების შესახებ და მისთ.), რომელთა საფუძველზეც ეს ლექსემები ხდებიან წესთა ობიექტები. ინფორმაცია წესების (გარდაქმნების) შესახებ კი არის ოპერაციული ინფორმაცია. როგორც კლასიფიკაციური, ისე ოპერაციული ინფორმაცია სისტემატიზებულია სალექსიკონო სტატიის სტრუქტურაში.

II. ექსტრალინგვისტურ ინფორმაციას მხოლოდ დამხმარე, შემავსებელი ხასიათი აქვს ლექსიკოგრაფირების ობიექტისათვის. სწორედ ამიტომაც, რომ ექსტრალინგვისტური ინფორმაცია უმეტესად სალექსიკონო სტატიის განსაკუთრებულ ზონაშია მოცემული.

ენის ინტეგრალური აღწერისა და ლექსიკოგრაფიული ინფორმაციის ურთიერთმიმართება განისაზღვრება საკუთრივ ლინგვისტური

ინფორმაციის საფუძველზე. როგორც კლასიფიკაციური, ისე ოპერაციული ინფორმაცია წარმოდგენილია იერარქიული დონეებისა და ქვედონეების შესაბამისად. სწორედ ამგვარი დაყოფა გვაძლევს საფუძველს, რომ სალექსიკონო სტატიის (სიტყვა-სტატიის) სტრუქტურა ვავიზროთ, როგორც კომპონენტი იერარქიისა, ხოლო თვით სალექსიკონო სტატია, როგორც რეპრეზენტანტი ენის ინტეგრალური აღწერისა.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

ფარინგალიზებულ ხმოვანთა წარმომავლობის ერთი წყაროსათვის ლაკურ ენაში

იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონოლოგიურ სისტემაში ფიქსირდება როგორც ფარინგალიზებული თანხმოვნები (უბიხური ენა), ისე ფარინგალიზებული ხმოვნები (დალესტური ენები). ამოსავალი (ფუძენური) ვითარების შესახებ საუბარი ამ ეტაპზე ძნელდება იმით, რომ არ მოგვებოვება რამდენადმე სრულყოფილი კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, სადაც შესაძლებელი გახდებოდა ეტიმოლოგიზირებულ ძირ-ფუძეთა ჩვენებების მიხედვით ჩვენთვის საინტერესო ფონემათა ევოლუციისათვის თვალყურის მიდევნება ამ ოჯახის ენათა ოთხივე ჯგუფის მონაცემების საფუძველზე. ამიტომაც ჯერჯერობით თავს ვიკავებთ ფარინგალიზებულ ხმოვანთა გენეზისის შესახებ კატეგორიული მსჯელობისაგან. საერთოდ, მსგავს კონტექსტში იკვეთება ენობრივი უნივერსალია: თუ ენაში ისტორიულად არ ფუნქციონირებენ ფარინგალური რიგის კონსონანტები, იქ არც ფარინგალიზებული ხმოვნები გაჩნდებოდნენ.

წინამდებარე ნაშრომში ვაჩვენებთ ერთი ენის — ლაკურის — მაგალითზე, თუ რა გზით ჩნდება მეორეული ფარინგალური ხმოვნები. ცხადია, ლაკურში ფარინგალიზებულ ხმოვანთა ჩასახვას ხელი შეუწყობს წინამავალი ფარინგალური თანხმოვნის არტიკულაციის შესუსტებამ, რომლის ფარინგალურობა თანდათანობით სულ უფრო

მეტად გადაეცემოდა მომდევნო ხმოვნის არტიკულაციას, რამაც საბოლოოდ მათი ფონემიზაცია გამოიწვია.

ამგვარი შესაძლებლობის რეალურობას მხარს უჭერენ ახლომონათესავე დაღესტნურ ენათა სათანადო ლექსიკური ერთეულები, როცა ლაკური ენის ფარინგალიზებულ ხმოვნებს რეგულარულად შეესატყვისება **ფარინგალური კონსონანტი + სადა ვოკალი** თანმიმდევრობები:

ლაკური

ემუ „ხის ჯამი“
ენაკუ „ქათამი“
ენტ „მტკაველი, ციდა“
ერჩა ← არქა „კოჭლი“
ერში „მიწა“
ემინიშანი (ცხვრის ყურზე)
ეტარა „მთის ნაკადი, ნიაღვარი“

ეჩაუ „მამლის თვერი“
ენ „ზონარი“
ეყ- „სხმა“

უქაუი- „ცული“
ულ „ძროხა“
უნწუ „წვინტილი“
უნტა „სიცარიელე“
ურჩი-ლუ „ხის სატყეპელა“
ურჭი- „ჭრელი“
ურუ „რუხი“
უ „სისხლი“

სხვა დალ. ენები

ანდ. ყომ „გობი“, ხინ. ყამ „კოვზი“
ხუნდ. შანკუ „ქათამი“
ლევზ. ყუნთ „იდაყვი“
დარგ. შარქა-ზე „კოჭლი“
ხუნდ. ჰარშა „თიხა“
დარგ. ჰარცუე „ნიშანი; ნაკაწრი“
ბოთლ. ლადარუ „ნიაღვარი“,
მდრ. დარგ. ჯარდ „ველი“

ჭამ. შანჩ//ანჩ „ფაფარი“
წახ. შუმ „მარყუყი“
ხუნდ. ჰეყაყ- // ჰეყაყ- „დაღვეა“

არჩ. ჯოქაუ „მარცხენა; ცული“
კუბაჩ. ყულ „ძროხა“
ხუნდ. ჰაწაუ „დორბლი“
ლევზ. ყუმეტ „გამოქვაბული“
თაბ. ყურჩ „ხის ტოტი“
ბუდუხ. ყაჭუ „ჭრელი“
ხვარშ. ჯადრე „ნაცრისფერი“
დარგ. ჰი „სისხლი“

ნ ი ნ ე ლ ი კ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

ჟამ- ფუძიანი ომონიმური სიტყვების წარმომავლობისათვის ქართულში
ჟამი: 1. დრო, ხანი; საათი. 2. შავი ჭირი.

1. ჟამი: დროის აღმნიშვნელი სიტყვა **ჟამი** და მისგან სხვადასხვა საშუალებით მიღებული სიტყვები ნაირ-ნაირი სემანტიკური და-ტვირთვით ფართოდაა გავრცელებული როგორც ძველ, ისე ახალ ქართულსა და მის დიალექტებში.

„საყურმან... ვმა-ყვის **ჟამსა** ბრძოლისასა“ (მ. სწ.) — ილ. აბულ. მზესა მე ვსჯობდი შვენებით, ვით ბინდსა **ჟამი** დილისა (გეფხ.). ეს დრო და **ჟამი** ცვალებადია! (აკაკი).

სიტყვა **ჟამი** როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში ხშირად გამოიყენება როგორც საეკლესიო ტერმინი. მაგ. **ჟამის-წირვა** ლიტურგია. **ჟამობა** გალობა. **მეჟამე, მჟამობელი** მგალობელი. **ჟამ-გულანი** საგალობელთა კრებული და სხვ.

დიალექტებში კი **ჟამი** და მისგან ნაწარმოები სიტყვები სხვადასხვა სემანტიკით გვხვდება. **ჟამი** ზარმაცი, ზანტი, მიძიმედ გამწევი საქონელი ან ზანტად მომუშავე ადამიანი (ჯავახ.). **ჟამურა** მუჭი, უსიამოვნო ფერისა (ქართლ.). **დაუჟამები** უმწიფარი, მკვახე (ხევს.). **მოჟამვა** (ქლიავის) ოდნავ შემწიფება (ინგილ.). **აჟამკრებს** უგლის, აბინავებს, ყურადღებას აქცევს (ხევს.). **მოჟამებული** 1. მომწიფებული ოდნავ; 2. ხანში შესული, სიბერეშეპარებული (ქიზიყ.).

ნაწარმოებ სიტყვებში **ჟამი** შეიძლება შეკუმშული სახითაც შეგვხვდეს. **მოჟმე** მოჟამე, დროის შემრჩევი (ქიზ.). **მოჟმიარებული** 1. ჟამგამოვლილი, დროგამოვლილი. 2. დროული, ხანშიშესული (ქართლ.).

დროის მნიშვნელობით **ჟამი** დასტურდება მეგრულ-ჭანურშიც. მას პარალელები აქვს სხვა კავკასიურ ენებშიც. ეს სიტყვა გვხვდება სომხურშიც.

ზოგი მეცნიერის მიხედვით იგი არაბულ-სირიულ ამავე მნიშვნელობის **ჟამან** სიტყვას უკავშირდება, მაგრამ თვითონ ამ სიტყვის წარმომავლობა უცნობია (მზ. ანდრონიკაშვილი). ღვამოთქმულია ეჭ-

გი, ხომ არ მომდინარეობს ჟამი ბჟამ'საგან ბ-ს დაკარგვით: **ბჟამი > ჟამი** — „მზიანი“ (ო. ქაჯაია). ზოგის მოსაზრებით, იგი არ არის ინდოგერმანული ძირის სიტყვა და ამის მიხედვით იგი სომხურში ან პირდაპირ ნასესხებია ქართულიდან, ანდა ეკუთვნის ქართულ-კავკასიურ ენათა საერთო ძირითად საუნჯეს, იაფეტურ ფენას (პ. ინგოროყვა). ვიზიარებთ ამ უკანასკნელ მოსაზრებას და ვვარაუდობთ, რომ **ჟამი** წარმომავლობით დაკავშირებული უნდა იყოს სვანურის წლის, წელიწადის აღმნიშვნელ **ზაჯ, ზაჯ, ზა** სიტყვებთან, თუმცა არ გამოვრიცხავთ აღმოსავლური ენებიდან მის მეორეულ სესხებასაც.

2. ჟამი: შავი ჭირი. კაცის მკვლელი — საბა.

ორი მოწიფული შვილი **ჟამმა** მოუკლა [თანდარუხს] (ნ. ლორთქ.).

გვხვდება **ჟამ-** ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვებიც. **ჟამიანი** — ჟამით, შავი ჭირით დაავადებული. **ჟამიანის** დედა გამოვარდნილიყო ქუჩაში (კ. გამსახ.). **ჟამიანობა** — ჟამის, შავი ჭირის ეპიდემია. „ვის არ ახსოვს, რა საშინელი კვალი დატოვა **ჟამიანობამ** ამ საუკუნის დასაწყისში“ (ნ. ნიკოლ.).

ჟამი გარდა შავი ჭირისა დიალექტებში გვხვდება შემდეგი მნიშვნელობითაც ჟამი 1. ნადველი, დარდი, ტკივილი. 2. მოუტრჩენელი ჭირი, სიკვდილი. 3. წყევლის ფორმულა. „ჟამი შენ თავზე, შენ არ გასახარებლო!“ (ჩვენებ. ქართ. შ. ფუტკ.).

რიგ შემთხვევაში დროისა და შავი ჭირის აღმნიშვნელი **ჟამი** ლექსიკოლოგების მიერ პოლისემიურ სიტყვადაა მიჩნეული. მაგ. **ჟამი** — დრო, ხანი. **ჟამი, ჟამობა** — ჭირი, მომსერელი სენი ა დ. ჩუბინ. **ჟამი** 1. დრო, ხანი. 2. გაუღიმარი, უენო კაცი. 3. შავი ჭირი (ფშ. ხორნ.). ვფიქრობთ, ჭირის აღმნიშვნელი **ჟამი** წარმომავლობით იგივე უნდა იყოს, რაც სვანურში ამავე მნიშვნელობით დადასტურებული სიტყვები **ჟამ, ჟამ; ჟამობ** — ჟამიანობა, ჭირიანობა.

ნუსხავს სიტყვის სემანტიკისათვის

ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში **ნუსხვა** განმარტებულია, როგორც „გადმოწერა“, **ნუსხა** „ნაწერი, ეგზემპლარი“. ქეგლის განმარტებით: **ნუსხა**¹ 1. იგივეა, რაც სია... 2. იგივეა, რაც ცხრილი. **ნუსხა**² კუთხ. (იმერ. გურ.) ჯადო, თილისმა... **ნუსხა**³ გაკრული ხელით ნაწერი... (ქეგლ V, 1956). იქვე, **ნუსხავს**¹ (ნაწუნუსხა, ნაღუნუსხავს) რისამე ნუსხას, სიას ადგენს, — აღრიცხავს... **ნუსხავს**² კუთხ. (იმერ. გურ.) (წმონუსხა, წმონუსხავს) ხიბლავს, აჯადოებს.

ნუსხა არაბულიდან შეთვისებული ტერმინია, — აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი წიგნში „ქართული პალეოგრაფია“, — არაბულადაც **ნუსხაჰ** პირველ ხელნაწერსა და დედანს ნიშნავს, თავდაპირველ ტექსტს. მაგრამ შემდეგ გადანაწერის მნიშვნელობაც ენიჭება და სპარსულში, რომელსაც ეს სიტყვა არაბულიდან აქვს შეთვისებული, **ნუსხა** სწორედ პირსა და გადანაწერს ეწოდება. აქვე ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ სულხან-საბასთან **ნუსხა** განმარტებულია როგორც „ჩქარად აღწერილი (ჩქარად ნაწერი)“. „საბას სიტყვები და განმარტება იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ დამწერლობის ერთი ტერმინის, „**ნუსხა ხუცური**“ მნიშვნელობის გაგებას გვიადვილებს, იგი გაკრული ხუცური ხელის სახელი ყოფილა... გაკრული ხელი, რასაკვირველია, ხუცურიც შეიძლება ყოფილიყო, მხედრულიც. თუმცა მხედრული უფრო მომარჯვებულია სწრაფი, სამდივნო წერისათვის, ამისდა მიუხედავად, თანამედროვე ქართულში ტერმინად განსაკუთრებით **ნუსხა ხუცური** იხმარება, ნუსხა მხედრულს კი არავინ ხმარობს, ამასთანავე **ნუსხური** და **ნუსხა-ხუცური** ეხლა იმდენად გაკრული დამწერლობის აღსანიშნავად არ იხმარება, რამდენადაც პატარა ტანის, ოთხხაზოვანი სისტემის დანაწერი ხუცური დამწერლობის გამომხატველია“, — წერს მეცნიერი და იქვე აღნიშნავს, რომ **ნუსხისაგან** ზმნაც და მოქმედი პირის სახელიც არის ნაწარმოები: **ნუსხვა** მოქმედებას აღნიშნავდა, რომლის აღმსრულებელს „**მნუსხვე-**

ლი“ ერქვა; **ნუსხვა** ზმნის გარდა **დანუსხვაც** არსებობდა, რომელიც „გადაწერას“ ნიშნავდა. გადამწერისათვის დედნად მიცემულ შავად დაწერილ ტექსტს კი „**დანუსხვილი**“ ერქვა (განსხვავებით „კაიხელად დაწერილისა“).

დანუსხვილის გარდა შავად დაწერილის აღსანიშნავად იხმარებოდა „**ჰავხელად დაწერა**“, აგრეთვე, **ჩხრეკა** და **დანჩრეკა (მჩხრეკალი** — ცუდად დამწერელი), **ჩხაბვა** და მისგან ნაწარმოები **მხაბავ-ი** „ავად მწერალი“.

ცული ხელის მქონებელი თავისთვის „**მჩხაბავის**“ სახელს ხმარობდა, თუმცა, ხშირად ამას თავმდაბლობითაც აკეთებდნენ. ივანე ჯავახიშვილი იმოწმებს მოსე ჯანაშვილის მიერ გამოცემულ XIII საუკუნის ხელნაწერს: „ამისა **მჩხაბავსა** გაბრიელს შეუხდევნ ღმერთმან“—ო, სადაც შეცდომით **მჩხაბავია** დაბეჭდილი, — შენიშნავს იგი, — საბა ორბელიანიც ხომ ამბობს „**მჩხაბავი** ავად მწერალი არისო.“

მართლაც, ძველ ქართულში გვაქვს: **მჩხაბავი** „ავად მწერალი“ (**ავი** არაკეთილი... **ავ** ითქმის კაცისა ბოროტისა...), **მჩხიბავი** „გრძნებით შემკრავი“; **ჩხაბვა** „ავი წერა“, **ჩხიბვა** „გრძნებით შეკვრა“; **ნაჩხიბი** „გრძნებით შესაკრავი“ (საბა); **დაჩხიბული** „გრძნეული“ (ზ. სარჯვ.)...

მაგრამ ენაში **მჩხაბავი** და **მჩხიბავი** გაიგივდა. 1997 წელს გამოცემულ „ქართულ პალეოგრაფიაში“, რომლის ავტორები არიან კ. დანელია და ზ. სარჯველაძე, ვკითხულობთ: „გადამწერის მნიშვნელობით (უფრო ცუდად გადამწერისა! ოღონდ ზოგჯერ ეს თავმდაბლობით იყო ნათქვამი) იხმარებოდა **მჩხრეკელი (მჩხრეკალი** და **მჩხიბავი, მჩხაბავი**. ხოლო თვით არასათანადო, ნაჩქარევ ან უღამაზო წერას **ჩხრეკა** და **ჩხიბვა) ჩხაბვა** ერქვა“.

ჩხიბვის სინონიმებად ძველ ქართულში დასტურდება გრძნება, მოგულობა, მისნება, ჯალუქრობა... **მჩხიბავის** — მოგვი, მისანი, ჯაღოქარი, გრძნეული...

ვფიქრობთ, ერთ-ერთი მიზეზი **ნუსხვის** ახალი სემანტიკის (**მონუსხვა** — მოჯაღოება, მოხიბვლა) განვითარებისა უნდა იყოს **ჩხაბვა — ჩხიბვის** სემანტიკური აღრევა. **მონუსხავს** „მოაჯაღოებს, მოხიბლავს, ნებისყოფას მოუღუტუნებს, დაიმორჩილებს“ (ქეგლ V). სა-

ყურადღებოა, რომ დღეს მონუსხვის სინონიმებად არსებული სახელები ერთი პრინციპითაა ნაწარმოები — მო- ზმინსწინის დართვით: მოჯადოება < თურქ. ჯადო; მოხიბვლა < სპარს. ხაბალ // ხიბალ „ჯადო, გრძნება“; მათი ანალოგიით: მონუსხვა < არაბ. ნუსხაჰ.

საინტერესოა, რომ ჯავახურ დიალექტში არის **ნუსხა** სიტყვა, რომელიც, გრიგოლ ბერიძის განმარტებით, იგივე ნუსხაა: „**ნუსხა (ნუსხა)** სამკუთხად გაკეთებული ფიგურა, შიგ ჩადებულია შელოცვილი ნივთები და საქონელს კისერზე აქვს, რომ ავმა თვალმა არ დაცადოს“. შდრ.: ნაჩხიბი „გრძნებით შესაკრავი“.

მ ზ ი ა ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, ნ ა ნ ა ც ე ც ხ ლ ა ძ ე

-ავ და -ამ თემის ნიშნთა ხმარების თავისებურებანი კლარჯული და ქობულეთური მასალების მიხედვით

მუჰაჯირთა მეტყველებაში დაცულია ძვირფასი მასალა სამხრული დიალექტებისა თუ ენის ისტორიის თვალსაზრისით. უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ ტექსტებში გამოიკვეთა რამდენიმე თავისებურება, რაც ქართულ დიალექტოლოგიაში დამკვიდრებული ზოგი ტრადიციის გადაფასების საშუალებას იძლევა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მ. ფაღავასა და მ. ცინცაძის მიერ შეგროვილი კლარჯული მასალები. შესადარებლად ვიდებთ მ. ხახუტაიშვილისა და შ. ფუტყარაძის მიერ ჩაწერილ ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშებს.

1. **-ავ** თემისნიშნისეული ხმოვანი აწმყოსა და მყოფადში მრავლობით რიცხვში რედუცირდება: **ღებვენ, სმენ, დეინახვენ** (ქობ.); **მეიპარვენ, სმენ, დააბმენ** (კლარჯ.). **-ამ** თემისნიშნიან ზმნებში კლარჯულში გვაქვს **ავართუამ** ტიპის ფორმები, ქობულეთურში — **ავართუმ** ტიპისა (პირველი არქაიზმია, მეორე — დიალექტიზმი).

კლარჯულში გამოვლინდა **-ევ, -ემ** თემისნიშნიანი ფორმები: **ჩეიცვემენ, გავწურევ, დანრისევ**. ეს ზმნები ფასეულია აწმყოს ფუძის ისტორიის გასათვალისწინებლად და მაჭახლის ხეობაში მ. ცინ-

ცადის მიერ დადასტურებული **ვზიდევ, ხედევ, აკოქევ, ძინევს** ფორმებთან ერთად ამტკიცებენ ა. ჩიქობავას თვალსაზრისს, რომ **-ევ** და **-ემ** ფორმანტები უძველესია.

2. უწყვეტელში კლარჯული უპირატესობას ანიჭებს **-ევ, -ემ** თემისნიშნის ფორმებს: **დაფრინევდა, ვსნევდიო, დინახევდა, ვასხემდიო**, მაშინ როცა ქობულეთურ მეტყველებაში გაბატონებულია **-ვიდ** და **-მიდ-იანი** წარმოება: **ვმალვიდი, ვზიდვიდი, შეწვიდა, დანაყვიდა, წუუსმიდა, გამჟართმიდა**. ეს ტენდენცია იმდენად ძლიერია, რომ **ასმიდა** ზმნის ანალოგიით გაჩენილა ინოვაციური **აჭმიდა** ფორმაც (შდრ. **აჭუმდა**).

კლარჯული მეტყველების თავისებურებაა თემის ნიშანთა მრავალფეროვანი მონაცვლეობა. **-ავ** თემის ნიშანი ენაცვლება **-ებ, -ამ, -ი** ფორმანტებს: **დევიძინავთ, მიყურავ, იმღერავს, გავაკეთავ, ვარიგავ, ავაშენავ, მაწუნავ, ვიგონავ, იმღერავ, ვიქავ, ვიყიდავ**.

-ავ-ი დაერთვის ერთთემიან და ფუძედრეკად ზმნებსაც: **ვკრიფავ, ვჭამავ, იწერავს, გადაწყვიტავს, დეისწავლავს**. ქობულეთურში აღნიშნულ ტენდენციას მიჰყვებიან **ტენა** და **წერა** ზმნები: **ტენავს, წერავს**.

3. საინტერესო ფაქტია საპირისპირო ტენდენცია: **-ავ** თემის ნიშანს კლარჯულში **-ებ** ცვლის: **იკითხებენ, ატენებენ**. ქობულეთურისა და კლარჯულისათვის საერთოა მისი **-ი** ფორმანტი შენაცვლება: **კლის, წველის, აკრის, აკრიდა, დაკლიან**. მეტად საინტერესოა კლარჯული **სმიან**.

4. კლარჯულისათვის დამახასიათებელია მარტივი ფორმები: **დეინან, დუუძახ**. ქობულეთურში ასეთი ფორმები უწყვეტელისთვისაა დამახასიათებელი: **შეინანდა, გალანდენ**.

მოპოვებული მასალები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ კლარჯული ქვემოაჭარული სხვა კილოკავებისაგან მკვეთრად განსხვავდება (**-ევ** და **-ემ** ფორმანტები შემონახულია აწმყოსა და უწყვეტელში, სამივე პირის ფორმებში) და შემოუნახავს უძველესი ვითარება. ქობულეთურ მეტყველებაში თვალში საცემია თემისნიშნისეული ხმოვნის რედუქცია, **-ვიდ** და **მიდ-იანი** ფორმების გაბატონება და ინოვაციური ფორმები (**აჭმიდა**).

ცირა ჯანჯღავა

მისაღმების ფორმულები მეგრულში

1. მისაღმებაში როგორც საზოგადოების ეტიკეტის უმნიშვნელოვანეს ნაწილში, თავისებურად ასახულია ამა თუ იმ ხალხის ეთნოგრაფიული ყოფა, კულტურა, ფსიქიკური წყობა, მენტალიტეტი... ამასთან, მისაღმების ვერბალური ფორმები გარკვეულ ენობრივ სტრუქტურას წარმოადგენენ და მათი ანალიზი ენათმეცნიერების ინტერესის საგანია.

მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტს მისაღმების ფორმულებში, ბუნებრივია, გვაქვს როგორც საერთოქართველური, ისე სპეციფიკური მოვლენები.

2. მეგრულ მისაღმებაში ყველაზე ხშირად გამოყენებულია **მორძგე-** ფუძე (მისი შესატყვისები სხვა ქართველურ ენებში ცნობილია), რომელიც გვხვდება როგორც მისაღმებად გამოყენებული ცალკე სიტყვაში, ისე — შესიტყვების ერთ-ერთი კომპონენტის შემადგენლობაში:

გამორძგუა! „გამარჯობა!“

გომორძგუა სქანი! „გამარჯობა შენი!“

გომორძგუა თქვანი! „გამარჯობა თქვენი!“

პასუხს მხოლოდ შესიტყვების ფორმა აქვს (შდრ. ამ მხრივ ქართული **გაგიმარჯოს!**) — მისი ერთი კომპონენტია **მორძგე-** ფუძეზე დამყარებული ზმნა, მეორე — არსებითი სახელი:

გო(გ)იმორძგვას ღორონთქ! „გაგიმარჯოს ღმერთმა!“

გო(გ)იმორძგვანი ღორონთქ! „გაგიმარჯოთ ღმერთმა!“

შესაძლებელია პირველ ადგილზე არსებითი სახელი იყოს:

ღორონთქ გო(გ)იმორძგვას!, ღორონთქ გო(გ)იმორძგვანი!

მისაღმებად გამოიყენება, აგრეთვე, არაბულიდან შემოსული და მთელს კავკასიაში გავრცელებული **სალამი**.

3. გამომწვიდობებისას ქართულისებური ვითარება გვაქვს:

ჭგირო (ქ)ორდა! „კარგად იყავი!“

ჭგირო (ქ)ორდათ! „კარგად იყავით!“

4. ქართული, როგორც საერთოეროვნული (მშობლიური) და ოფიციალური ენა ყველა ქართველისათვის, რომლებიც იმავდროულ-

ლად შეიძლება ლაპარაკობდნენ თავიანთ ტერიტორიულ დიალექტებზე, ბუნებრივია, გავლენას ახდენს მათზე, კერძოდ — მეგრულ დიალექტზეც. დიგლოსიის შედეგია მისალმებისას და გამომწვიდობებისას მეგრულში გამოყენებული ფორმულები:

გომორძგუა! || გამარჯობა!

დილა მწვიდობისა! „დილა მწვიდობისა!“

გვხვდება ე. წ. „ჰიბრიდული“ შესიტყვებებიც (შეთვისებული ლექსემა + საკუთარი სიტყვა):

მწვიდობა სქანი! ზედმიწ. „მწვიდობა შენი!“

მწვიდობა თქვანი! „ზედმიწ. „მწვიდობა თქვენი!“

გამარჯობა სქანი / თქვენი! „გამარჯობა შენი / თქვენი“

მოხსენებაში საუბარი იქნება, აგრეთვე, მისალმებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზეც (მაგ., ეტიკეტის დაცვაზე მისალმებისას).

მ ა რ ი ნ ა ჯ ლ ა რ კ ა ვ ა

-ქთ- ძირი ლაზურში

სემანტიკა ობიექტური რეალობის სუბიექტურ აღქმასაც გულისხმობს, რაც თითქმის ყველა ენაში გამოიხატება არა მარტო ფორმათა სიმრავლით, არამედ ხშირად ამ ფორმათა მნიშვნელობების ნაირფეროვნებით სხვადასხვა კონტექსტში.

შესიტყვებაში ამა თუ იმ ფორმის სემანტიკური სახესხვაობანი ტრადიციულ გაგებაზეც არის დამოკიდებული.

ქართველურ ენებსა და მათ დიალექტებში განსაკუთრებით საინტერესოა სურათს იძლევა ზმნური ძირებისაგან ნაწარმოები ლექსემების სიმრავლე და მათ მორფოლოგიურ-სემანტიკურ მეტამორფოზებზე დაკვირვება.

ამ თვალსაზრისით წარმოგიდგინთ ლაზურში **-ქთ-** ძირისგან ნაწარმოები ზმნებისა და სახელზმნების მორფოლოგიურ და სემანტიკურ ვარიანტებს, მათი აქტივისა და პასივის ფორმების პარადიგმათა ანალიზს.